

619
1965

ქართული
ბიბლიოთეკა

ქართული

№ 3 8 5 6 8 0 1965



ქართველი
წიგლიერთა
კავშირი



ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. № 15 საარჩევნო უბნის აგიტუნქტის მოწინავე აგიტატორები: ზაირა გობეჯიშვილი, ქეთევან ანდლულაძე, ვენერა ანორაშვილი და ქეთევან მირიანაშვილი აფორმებენ კედლის გაზეთის მორიგ ნომერს.

ფოტო თ. არჩვაძისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

აჭოა

№ 3 (164) მარტი, 1965 წ.


გამოცემის XV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურულ-სამხატვრო ჟურნალი

გსოზნიო კოჭიის გუვენაუ



შოთა რუსთაველი. ნახატი ლ. გუღიაშვილისა.




ნებტანი წერილს ჰწერს ტარიელს. ნახატი ს. კობულაძისა.

1966 წლის სექტემბერში, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ხალხები, მთელი მოწინავე კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავენ გენალური ქართველი პოეტის, მოაზროვნისა და ჰუმანისტის — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა მთავრობის საიუბილეო კომიტეტი, რომელიც გაუძღვება მთელ წინასაიუბილეო მოსამზადებელ მუშაობას.

დიდი ქართველი პოეტის მომავალი იუბილე იქნება ნათელი დემონსტრაცია ჩვენი კულტურის აყვავებისა; ეს იქნება საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი სულიერი მეგობრობის ახალი მკაფიო გამოხატულება.

9775

ტარიელი და ნებტან-დარეჯანი. მე-17 საუკუნის მინიატურა.



როსტევან მეფის სასახლეში. მე-17 საუკუნის მინიატურა.



ქაჭეთის ციხესთან. ნახატი ირ. თოძისა.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რეზოლუცია



მწველავი ნადია ელიზაროვა და მისი შვილი თინკო.

ერთმანეთს ჩახლართვოდა თოვლი და ნისლი.

სოფელ ფლავიდან მსუბუქი მანქანა გამოვიდა. შიგ ოთხი ქართველი მწერალი იჯდა. ტყვიავისა და გორის გავლით თბილისში ბრუნდებოდნენ.

გზა არ ჩანდა. შოფერს დიდი სიფრთხილით მიჰყავდა მანქანა, რომლის მინასაც ფიქვებისა და ნისლის მღვრიე ფარდა ჩამოჰფარებოდა, უცებ მანქანას ბორბლები მოუტურდა და თავდაყირა ჩაეშვა ხრამში. საბედნიეროდ, ხრამი არც ისე ღრმა აღმოჩნდა და არც არავის დაშავებია რამე. პირველად მხოლოდ მაგზავრებმა ერთმანეთი ხელით მოსინჯეს, ძლივს სდოვობით გამოაღეს მანქანის კარი და გამოძვინდნენ. ბევრი უტრიალეს გადმოპირქვევებულ მანქანას, ვერ იქ-

ნა და ვერ წამოაყენეს, შოფერი იქვე დატოვეს და დაადგნენ გაუქვალავ გზას. ან ვინ იცოდა გზას მისდევდნენ, თუ მინდობს. ტყვიავი შევიდნენ. სოფლის ცენტრში კაცი შემოხვდათ.

— მიგვასწავლე, სად იქნება კოლმეურნეობის თავმჯდომარეო, — უთხრეს.

— კოლმეურნეობის თავმჯდომარე თავის შოფერს აქორწინებს და ახლა იმ ქორწილს თამადობსო, — უპასუხა შემხვედრმა.

გაჩირადნებულ სისხლიდან საქორწინო სიმღერების ხმა გამოდიოდა. შემხვედრი კიბეებზე ავიდა და თავმჯდომარეს, რომელიც იმ დროს სადღეგრძელოს ამბობდა, წასჩურჩულა, — მწერლები არიან, გთხოვენ, ცოტა ხანს კარში გამოდით.

— მწერლები თუ არიან, სტუმრებიც იყვნენ, შემოიყვანეთო.

თავისი გაიტანა თავმჯდომარის სიკრულტემ.

კიბეებზე შეხვედრილ თავმჯდომარეს სტუმრებმა თავიანთი გასაჭირი უთხრეს.

თავმჯდომარე მცირე ხნით შეფიქრიანდა.

— მიხეილ, ნეფე ბატონო, ერთი საბარძოლო დავალება უნდა მიიღო.

სასიძო ტანსაცმელში გამოწყობილი მიხეილ მელითაური წამოიდა. კოლმეურნეობის გარეშე წავიდა, საბარგო ავტომობილის საჭეს მიუჯდა და ფლავისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

ქორწილი უნეფოდ გრძელდებოდა. უნეფო პატარადალი ნეფიანად აღდგარძელეს მწერლებმა.

სათზე მეტი გავიდა. ეზოში საბარგო ავტომობილი შემოგრიალდა, მას ფეხზე დაყენებული მსუბუქი მანქანაც შემოჰყვა. თოვლით დასველებული ნეფე კვლავ პატარადალს ამოუღდა მხარში. თან კი ფრთხილობდა, ქალიან ფრთხილობდა, პატარადალს თეთრი, საქორწინო ფატა არ დავალაქიანო.

და ნეფე-პატარადალს უკვე ლექსად უთხრა სადღეგრძელო მსუბუქი მანქანის ერთ-ერთმა მგზავრთაგანმა, პოეტმა კარლო კალაძემ.

ფხვალგაზული ნარგები

ეს ამ ათიოდე წლის წინანდელი ამბავი ტყვიავის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში გვიამბებს. ტყვიავის მამინდელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტარიელ ძამელაშვილი ახლა ამ მეურნეობის დირექტორია. ნეფე — მიხეილ მელითაური ისევ შოფერად მუშაობს. ხარობს ლექსით დალოცვილი ოჯახით და ახლა მისი შვილები თვითონ სწავლობენ ლექსებს. მათს ბედნიერ ოჯახზე გვიყვება მიხეილის ძმა — შოთა მელითაური — მეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის მეთაური.

ამ საუბარში გართულნი სანერგე პლანტაციებში შევედით. რაღას არ ნახავთ აქ — ვაშლსა და მსხალს, ატამსა და ქლიავს, გარგარსა და ბალს, ალვის ხის ნერგებიც გამოჰყავთ ქარსაცავებისათვის.

სულ ახალგაზრდა, ჯერ მხოლოდ ხუთი წლისაა ეს მეურნეობა. მისი მამულები სამას ექვს ჰექტარზე გადაჭიმულა, ტყვიავის სამხრეთ დასავლეთით, აქედან ორმოცდახეიდმეტი ჰექტარი მსხმოიარე ბაღებს უჭირავთ.

უკანასკნელ ხანს ორი ათასმა ძირმა ნერგმა აიღვა ფეხი, მეურნეობის ჰიშკრიდან გავიდა და ქართლის რაიონების საპტოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს მიაშურა.

წელს სანერგეში ნამყენს შეიდი ათას ძირზე ძუძუთა ბავშვივით შეფუთნავენ, ამ ნოყიერ მიწაზე აკვანს დაურწყევენ და მერე გზას დაულოცავენ შეღებულელებს.

გზა მშვიდობისა ჰქონოდეთ მუდამ!

მეურნეობის მამულებიდან გამოვედით და გორისაკენ მიმავალ გზას დაედაქეთ.

გზის ორივე მხარეს ახალგაზრდა ალვის ხეების კედელი აღმართულა და მათს შორის თეთრ მდინარესავით ჩაწოლილა გზა. თავისებური, ყველა ხისაგან განსხვავებული შრიალი იციან ალვის ხეებმა. თვალდახუჭულიც იცნობ მათ ხმას.

ალვის ხეები შრიალებენ და თითქოს მიწის გულისთქმას ისმენ.

ალვის ხეები შრიალებენ და ტყვიავის ბაღების სიმღერად მოგდევს მათი შრიალი.



სიჭეუნი
ქოქი
საქართველოში

ქლივი ჩარენსი

დიადო მხარეც, ფერად-ფერადო და აზიდულო მთებით ზეცამდე, გაზაფხულისკენ მიისწრაფოდ და შენს დიდ მიწებს მარად იცავდე; შენს ძლიერამოსილ წინსვლას შეგხარო, ბედნიერების ვარდფენილ გზაზე, და მე — სომეხთა ქვეყნის პოეტი ამ ლექსს მდღეღვარე სიტყვებით ვავსებ.

დიადო მხარეც, თავშესაფარო სიმღერის, ფიქრის, ნათელ აზრების, ო, რაოდენჯერ ვადმოუღაბავს მტერს მშობლიური ბაღის საზღვრები, ჩვენც და შენც ერთად თავს დაგვჩხაოდა მრისხანე ღამის კორიანტელი, გავუთელივართ და იმ ქართაგან ბევრჯერ ჩამქრალა ჩვენი კანდელი.

ო, გეფიცები, მზიურო მხარეც, მისწრაფებათა დიდო ქვეყანაც, ჩემს სამშობლოსაც მუდამ შენგვარი დარდის ღრუბელი გულზე ეუარა, ექანცებოდა შენებრ მკლავები განუწყვეტილი ბრძოლით დაღლილი, ჩვენ ერთნაირი გვქონდა ტანჯვები და გულს გვიწვავდა ერთი სახმილი.

ასე ვიარეთ გზები უღრანი და გადმოვლახეთ საუკუნენი, სანამ ნათელი მზით არ გაბრწყინდა გზა სიბნელისგან განუკურნელი, სანამ გმირულმა ოქტომბრის შუქმა კავკასიონის მთით არ დაგვხედა და მის ცეცხლოვან ნაპირებიდან დახსნის იმედით არ გავგამხნევა.

მაშინ აღვსდებოდა და ისევ ერთად გზა ავირჩიეთ დიადი ბრძოლის, შემოვიბერტყეთ ფეხის მტკერივით და დავამსხვრეთ უღელი მონის, მთელ ქვეყანასთან ამიერიდან ერთად, ერთნაირ მიზნით და რწმენით ჩვენ გამოვსებდეთ დიდი ცხოვრება, კაცობრიობის ნანატრი დღენი.

და ახლა ხელში მხიარულ ქნარით, ხალისიანი ნაწი ფანდურით, რომლის სიმები ჩვენს მაღალ მთათა და გულთა შორის არის გაბმული, გიგზავნი ქებას, რომ ბედნიერი გზით შიადწიე დიდების ნაპირს, რაიც გვიჩვენა დიდმა ლენინმა და რომელ გზითაც წინ მივისწრაფით.

და ერთმანეთთან შერთული გულით მომავლისაკენ მივიღვართ ახლა, სიმღერისაკენ, სინათლისაკენ, ცხოვრება ჩვენი რომ განახლდა, გულგზნებულნი მივექანებით ბედნიერების ვარდფენილ გზაზე და მე — პოეტი სომეხთა ქვეყნის ამ ლექსს მდღეღვარე სიტყვებით ვავსებ.

დიადო მხარეც, წინ ისწრაფოდე, სად გაზაფხულის შუქი ბევრია სადაც ცხოვრება ყველა ჩვენგანის დაუსრულებლად ბედნიერია...

მე სომხეთის ტუბილი სიტყვა, პირმზიანი სიტყვა მიყვარს, ძველი საზის ნაღვლით ჯდერა და ტირილი სიმთა მიყვარს, სისხლით ნაფერ ყვავილთ სიო, ნიავქარი ვარდ-სურნელთა და ქალწულები მოქნიული აცეკვება წყვილთა მიყვარს.

მიყვარს ჩვენი მუქი ზეცა, წყალ-ანჯარა ტბა მდღეღვარე, მზე ზაფხულის და ზამთრისა ქარიშხალი მომთაბარე, ბნელში მდგარი ქოხმანები, თუნდ ნანგრევი შავ კედლისა, ძველ ქალაქნი ნაშენები ათასწლოვან ქვითა მიყვარს.

სადაც კი ვარ, სულ მახსოვარ მაგ სევდიან სიმღერებით, ლოცვით ვსწავლობ მე შენს წიგნებს დაწერილებს ძველ ფერებით, რაც უნდ მკერდში მახვილი მკრან, გული სისხლით დაიწრითოს, მაინც ჩემი შუქმფინარე სომხეთის ცა ვით არ მიყვარს?

შეპირვებულ გულთა მკურნად სხვა ზღაპარი არსად არი, ნარეკელის შუბლის მსგავსი მთა და ბარი არსად არი, არც ერთ ქვეყნად არარატი ლაღად მდგარი არსად არი და მასისის მიუწყდომი გზები სავსე მზითა მიყვარს.

რაც კი ცეცხლი ჩემს გულს ახლავს — შენი იყოს, სიყვარულმა რაც დამაღა — შენი იყოს, სულ შენ გქონდეს, თუნდ მე ნავლიც ნუ დამჩრება, ზამთრით ყოფნა თბილად, ლაღად შენი იყოს..

თარგმანი ანდრო თივზაძისა.

საქართველო ჩვენთან, კახანაში...



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შოთა ფირცხალავა და თბილისის ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატი ლილი უჩანეიშვილი.

ნანა კანელაიკი

ირაკლი უჩანეიშვილის ეზო იმ დღეს დილიდან მეზობლის ქალებით იყო სასე.

თვითონ ირაკლი მახლობელ ორღობეში ჩასულიყო, ხელში თოფი მოემარჯვებინა და დაუტყრომლად აწყდებოდა აქეთ-იქით. ძმა-კაცები კვლავდავალ დასდევდნენ უკან და მომავალ ახალგაზრდა მამის მღელვარების გასაფანტავად მხიარულ ამბებს ჰყვებოდნენ.

ირაკლის თითქმის არც კი ესმოდა რაზედ ოხუნჯობდნენ მეგობრები. მისი ფიქრები სახლისკენ იყო მიპყრობილი, იმ ოთახისაკენ, სადაც ცოლი ეგულდებოდა და საიდანაც ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ჩვილის ხმის გაგონება.

„ბიჭი თუ შემიძინა, იცოცხლე შევაზანზარებ ამ თოფით ცას და მიწას, დაე, ყველამ გაიგოს“, — ფიქრობდა თავისთვის ირაკლი და სმენადამაბული მახარობლის გამოჩენას ელოდა.

ორღობეში ბოლოს მართლაც გამოჩნდა ნანატრი მახარობელი და ყვირილით ამცნო ირაკლის:

— გოგო შეგეძინა ირაკლი, მომილოცავს...
ენაჩავარდნილი მეზობლები თოფმომარჯვებულ ვაჟკაცს მიაჩერდნენ, აბა რას იტყვისო...

ირაკლიმ იხტიბარი არ გაიტება, მახარობელი გადაკოცნა, თოფი მალდა ამბარა, ჩახმანს თითი გამოკრა და ტყვია ქუხილით წავიდა ზეცაში.

მერე მეორედ გაისმა გასროლა... შესამდგა...
მეორე დღეს ლუბამ უსაყვედურა ქმარს:

— რა იყო შე კაცო, რამ დაგაფთა, გუშინ რომ დაახალე და დაახალე ტყვიები...

— პატარა ამბავი მოხდა თუ? მამა ვარ, მამა... აი, ბიჭი რომ ყოფილიყო, მაშინ კი ზარბაზნსა ვბეთქავდი ჰაერში...

— ბიჭი და გოგო რას მიქვია, შვილი შვილია... — გული დასწყვიტა ქმრის სიტყვებზე...

— ბიჭი მაინც სხვა არის... სხვა რომ არაფერი, მუშა-ხელია ოჯახში. სიმინდს მოგიოხნის, სახლის აშენებაში ხელს წაგაშველებს...

— სახლის აშენებაში გოგოც შეგეშველება...

— აბა, კი... — ჩაეცინა ირაკლის, — ეს გოგო ამიშენებს ახალ სახლს სწორედ!..

ეს იყო 1932 წელს...
აბაშის რაიონის სოფელ ზანათში კოლმეურნეებს — ლუბა და ირაკლი უჩანეიშვილებს ქალიშვილი შეეძინათ, რომელსაც ლილი დაარქვეს.

ბიჭის მოლოდინში უჩანეიშვილებს კიდევ ოთხი გოგონა შეემატათ ოჯახში.

— გულდაწყვეტილი იქნები, გოგოებით რომ აივსო სახლი... — დამნაშავეის ხმით შეაპარა თავისი დარდი ლუბამ ქმარს, მეხუთე გოგონა რომ შეეძინათ.

— რას ამბობ, რას? — იფეთქა ირაკლიმ, — ამათ ვენაცვალე, ჩემი გოგოები, ჩემი სიმდიდრეა!..

მართლაც სამავალითო შვილები დაეზარდნენ უჩანეიშვილებს: ლილი, მერი, ტონია, ელენე და მზია. მაგრამ ამათში მაინც განსაკუთრებით უფროსმა ქალიშვილმა, ლილიმ გამოიჩინა თავი.

ლილი პატარაობიდანვე მხარში ამოუდგა დედ-მამას. ქარასავით ტრიალებდა შინ თუ გარეთ. სამუშაოდ წასული მშობლების მაგიერობას უწყვედა პატარა დებს და გამოცდილი დიასახლისივით უძღვებოდა დიდ ოჯახს. ამიტომაც არის, რომ უმცროსი დები მას თავის აღმზრდელად თვლიან და დიდის მოწოდებით ლაპარაკობენ უფროს დაზე.

ლილიმ საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რა პროფესია აერჩია.

იმ ხანებში თბილისში მოუხდა ჩამოსვლა, ნათესავები მოინახულა. ერთ საღამოს, შინაურ საუბარში თავისი საფიქრალი ნათესავებს გაუზიარა. მამიდის ქმარმა, მამია ვადაჭკორიამ უთხრა:

— იქნებ დარჩე თბილისში?.. ჩვენთან, ქარხანაში წაიყვან... იცი რა ქარხანა გვაქვს!.. მუშა-ხელი გეჭირდება... დარჩი.

— კი, მაგრამ დედამ რომ არ იცის? არც მამამ...

— წერილს მისწერ და გაიგებენ...
ლილიმ მხრები აიჩჩია. ველარაფერი უთხრა მამიას.

— თუ არ მოგეწონება, წახვალ... შინ დაბრუნდები... გენახა, ქარხანა, გაგეცნო ჩვენი ახალგაზრდობა...

პოლა, ლილიც დარჩა. აღარ წავიდა ზანათში.
მეორე დღეს მამია ვადაჭკორიამ ლილი ქარხანაში წაიყვანა, ყველა საამქრო დაათვალიერებინა, გააცნო მოწინავე ახალგაზრდა მუშები, აჩვენა მათი ნამუშევარი.

ლილი აღტაცებული დაბრუნდა შინ. მთელი საღამო გაოგნებული იჯდა. თვალები ნაპერწკლებივით უციმციმებდა, სახზე გამოუთქმელი სიხარული დასტყობოდა.

ძილის წინ მამიას განცხადება გაუწოდა.

— არ შემარცხებ? — გაელიმა მამიას.

— ბირიქით, გასახლებთ! — დაიმორცხვა ქალიშვილმა.

— აბა, შენ იცი!..

ლილიმ ჯერ წუნმდებლად დაიწყო მუშაობა კიროვის სახელობის ჩარხ-მშენებელ ქარხანაში, 1955 წლიდან დღემდე კი მუშაობს მექანიკურ საამქროში მეიარაღედ.

თავმდაბალს, სამართლიანს, თავისი მოვალეობისადმი უღარესად კეთილ-სინდისიერ და საქმიან მუშა ქალს ლილი უჩანეიშვილს 1961 წელს ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა ნდობა გამოუცხადეს და იგი მშრომელთა დეპუტატების თბილისის ლენინის რაიონის საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

ლილიმ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა. ამიტომაც არავის გაკვირვებია, როდესაც 1963 წელს, მორიგი არჩევნების დროს ლილი უჩანეიშვილის კანდიდატურას ამომრჩეველებმა კვლავ მისცეს ხმა და რაიონის საბჭოს დეპუტატად წარგზავნეს.

ლილი უჩანეიშვილი მთელს გულისყურით ეპყრობა საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა საჩივრებსა და თხოვნას. იგი სანატრელი სტუმარია თავის უბნის მცხოვრებთათვის.

ვინ მოსთვლის რამდენი საზრუნავი აქვს დეპუტატს — ამომრჩეველებმა შესჩივლეს ლილის, რომ ჩერნიშევსკის ქუჩა ძალიან მოუფელელიაო. დეპუტატმა საკითხი სესიაზე გაიტანა, და საქმეც უმაღლეს გავიდა. ქუჩის სავალი ნაწილი დაიფარა ასფალტით, ხოლო ტროტუარი მწვანე ნარგავებით გალამაზდა. ამას გარდა, განათება არ იყო მაგნიტოგორსკის ქუჩაზე. აქაც ლილიმ იმარჯვა და არ მოსვენა, ვიდრე თავისი არ გაიტანა. ლილისთან ხშირად ნახავთ მოხუცებულებს, რომლებსაც პენსიის გაფორმებისას რაიმე დახმარება სჭირდებათ.

— ყველა საკითხის წამოჭრისას დეპუტატებს უმაღლესი გამოგვეხმარება ხოლმე რაიადმსკომი, ამავე დროს დიდი გულისყურით ექცევა მუშების თხოვნას ქარხნის დირექცია, პარტორგანიზაცია და ადგილკომი. სწორედ მათი დახმარებით გალამაზდა ქარხნის შესასვლელი. შეკეთდა ქარხნის წინა მოედანი, შეემატა მწვანე ნარგავები და გაკეთდა შადრევანი.

— სახლში თუ ჩაიღებთ თქვენებთან, შობოლიურ სოფელში? — ვეკითხები ლილის.

— შევბუღებას როგორც წესი, სოფელში ვატარებ დედა ისევ იქ ცხოვრობს, ორ დასთან ერთად. ორი და გათხოვდა და საკუთარი ოჯახები შექმნეს... მამა გარდაიცვალა...

ლილის ყველაზე ძალიან ის უხარია, რომ მისი დახმარებით ოჯახი ძველი ქოხმანიდან ახალ ოდა-სახლში გადავიდა. ეს მოხდა 1960 წელს, მამის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე.

მეზობლები ნიშნს უგებდნენ თურმე ირაკლის: — აკი არ გეგონა გოგო სახლს თუ ავიშენებდით. ირაკლის მამინე გუჩუშვილია ყველა.

— ვინ მოგახსენათ, როდის წამოძვდა ეს!.. ლეკვი ლომისა სწორიაო, — შოთამ თქვა, ეჭვი როდის და მე წინ გადავუდგებოდი ბრძენის ნათქვამს? მამის იმედი ხარ, შენი ქირიმე, ბარაქალა შენს ქალობას!..

ლილი ბედნიერია: ამ უბრალო მუშა ქალმა თავისი კოლექტივის, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელთა ქარხნის სიყვარული დამსახურა. თავისი უპრეტენზიო მუშაობით მას პატარა წელიწადი შეაქვს ჩვენი ნათელი მომავლის, კომუნისტური მშენებლობაში.

ბარაქალა შენს ქალობას, ლილი!



I

არა ერთგულის დამიწერია და ტრიბუნადან მითქვამს: ჩვენ უნდა ვისწავლოთ სიყვარული ჩვენს თანამედროვეთა მიმართ. ჩვენი მწერლობისა და ისტორიის მწვერვალადსული გმირები, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი წარმოდგენის ფორმებია მხოლოდ.

ქართველი ხალხის აქ მოსვლამდის მილიონ წლების მანძილზე არსებობდნენ ჩვენი მშვენიერი მითები, ჩვენი შმაგი მღინარებები.

უამის უსრულო სრბოლაში ჩვენმა ხალხმა შექმნა თავისი ეროვნული მწერლობა და ისტორია, თავისი ისტორიული პროზა და ფოლკლორი.

ჩვენ ყოველივე ამის მემკვიდრე ვართ, მაგრამ მუდამ იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ დღევანდელმა შემოღებისამებრ გადავაჭარბოთ კიდევაც ახლო-შილსა და აღსრულებულს და თავათ შევქმნათ ჩვენი დიდი ეპოქის საკადრისი კულტურა სიტყვისა.

ჩვენ ყველანი გავვახარა ირაკლი აბაშიძის 1968 წელს გამოცემულმა პალესტიანურმა ლექსებმა.

მე ვიტყვი, ეს გახლავთ ჰემარატივად მინანქრული პოემები, დიდი ფაქიზი ოსტატობითა და ლექსის იშვიათი ორკესტრირებით შესრულებული.

ირაკლი აბაშიძე მეწვივა ამ ოცდაათი წლის წინათ ჩემს მარტოხელა, დაღვრემილ ბინაზე, ჯაფარიძის ქუჩაზე.

უნდა ვალიარო ჩემი სისუსტე, მე მუდამ განსაკუთრებულ გულისყურს ვაპურობდი ადამიანის გარეგნობას.

მამონაც მომეწონა ეს მშვენიერი, კეთილად აღზრდილი, ბეჭბრტყელი ვუჟაცი.

მან მოკრძალებულად ამოიღო ჯიბიდან თავისი ლექსები და ჩემი თხოვნისამებრ რეჩიტაციას შეუდგა. ეს ლექსები შეეხებოდა სიყვარულსა და ბუნებისადმი ტრფიალს, მეგობრებს, ამხანაგებს და, რაც უმთავრესია, სამშობლოს.

გამოხდა უამი. მე გულმოდგინედ თვალს ვადევნებდი ირაკლი აბაშიძის ზრდასა და პერმანენტულ წარმატებას.


ირაკლი აბაშიძე ბედნიერი ბუნების ადამიანადა მყავს მინიშნებულთ. ამას მე იმავად ვიხსენებ, რომ მწერლობა მარტო ლექსების, რომანებისა და დრამების წერას არ ნიშნავს.

თუ მწერლის ქმნილების უკან არა დგას კეთილშობილი ვაჟი, ეს ყოველივე ამაო ჩმახვა აღმოჩნდება.

მე არა ერთხელ მძაფრად დავჯახებივარ ჩვენს ირაკლის, მაგრამ იგი მუდამ მიფრთხილდებოდა; ერთ-ერთი შეტაკების შემდეგ ირაკლი გამოვიდა ჩემი რომანის დისკუსიაზე და პირდაპირ გამაოცა მისმა გულთბილობამ და კაცობამ.

შემდეგ ირაკლი გახდა „მნათობის“ რედაქტორი. იმ ხანებში „მნათობში“ დაიწყო ჩემი „ვაჟის ყვავილობის“ ბეჭდვა. უნდა ითქვას, იგი, როგორც რედაქტორი ფრიად ჰუმანიურია.

ირაკლი აბაშიძე



საუკუნე

იმ ატმოსფეროს, რომელიც დამყარებული იყო 1958 წლამდე, ხელს უწყობდა ერთი გარემოება, რომელიც დღესაც აფერხებს ჩვენს მწერალთა ორგანიზაციას.

ეს არის ზენორმული ვადიდება მწერალთა კავშირის წევრებისა. ცხადია, 850 მწერალი ოკოპ ცურტაველიდან დღემდე არა ჰყოლია საქართველოს.

მცხრამეტე საუკუნეში საქმალ მრავალრიცხოვანი მიენახენი გარს უსდნენ როგორც ქართულს, ისე სომხურსა და რუსულ ლიტერატურას, მაგრამ ეს მიენახენი მოკრძალებულნი იყვნენ.

ჩვენს საუკუნეში გაჩნდნენ ე. წ. „ხელოვნებისათვის წამებულნი“, რომელნიც ენერგიულად მოისწრაფვიან მწერალთა კავშირში. ამ ადამიანებს ხელი მოსცარვით სხვა პროფესიებში, ზოგს არცა სურს პროფესიული შრომა.

ილია ჭავჭავაძე მომრიგებელი მოსამართლე იყო მრავალ წელს, რაფიელ ერისთავი მაზრის უფროსი, ლევ ტოლსტოი — ოფიცერი, ტეკერეი — ვაჭარი. ჩვენს მიენახეებს კი არც სწავლა ესაჭიროებათ, არც მოანგარიშედ და ბუნშალტრად დადგომას ეგუებიან.

მე ხშირად მისაყვედურნია ი. აბაშიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანისა და ა. მირცხულავასთვის: თქვენი კაიკაცობისა და გულჩვილობის მეოხებით თქვენ კარები ფართოდ გაუღეთ ბევრ უნიჭოს და მათი მომძლავრების მეოხებით მაკულატურით ნაგვიანდება ჩვენი ურუნალ-გაზეთების პორტფელეები და გამომცემლობათა გეგმები.

არსებითად საქმე სხვა რიგად უნდა წარგვემართა. მწერალთა კავშირი ისეთივე შეუვალი ბასტიონი უნდა იყოს, როგორც მეცნიერებათა აკადემია.

ამ აკადემიებში მხოლოდ რჩეულებს უღებენ კარს და არა ხელმოცარულ ადამიანებს, რომელთა ნაცოდვილარი მჭლე კატას აეკიდება, არა მოცულობისა, არამედ ესთეტიკური ღირებულების მიხედვით.

II

ავიაციის, ატომგულის, აერონავტიკისა და დიდი ქიმიის ეპოქაში ზოგიერთი მწერალი შეაკრთო მეცნიერების, ტექნიკის ფანტასტიკურმა მიღწევებმა.

ერთ-ერთ პლენუმზე ი. აბაშიძის სიტყვაშიაც მოისმა პესიმისტური ტონი. განა მარტო ატომგული და ვარსკვლავეთია საოცრება?

ყოველი არსი ამ ქვეყნად უთუოდ ენიგმა.

ახლა მოვიგონოთ ის საოცრებანი, რომელიც ნაციონალურ ენასა და მწერლობას თან ახლავს.

რამდენ რეგვენს უნახავს ვაშლის ნაყოფის ძირს ჩამოვარდნა, მერმე რა? ნიუტონმა მიაკვია ამ ამბავს ყურადღება და გრავიტაციის კანონები შექმნა.

ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარებას არასოდეს შეუშლია ხელი პოეზიის, მწერლობის აღორძინებისათვის. გოეტე ბრწყინვალედ ეფუფლებოდა მრავალ მეცნიერებათ, უფაქიზესი ლირიკული შედევრების გვერდით მანვე შექმნა გოეტე-ლამარკისეული განვითარების თეორია, თეორია ფერთა სიუხვისა.

ბუნებისმეტყველურ და ტექნიკურ მეცნიერებათა აღორძინებამ მეცხრამეტე საუკუნეში პირიქით, ხელი შეუწყო ჰონორე დე ბალზაკის შემოქმედებას. იგი დაეუფლა მედიცინასა და ბიოლოგიას, მიუხედავად ამისა, იგი სვედენბორგის ფილოსოფიით იყო გატაცებული და ამის მეოხებით დაწერა თავისი შესანიშნავი რომანი „შაგრენის ტყავი“.

ემილ ზოლა, კანტონკარ და ანატოლ ფრანსიც თავიანთი დროის უგანათლებულესი ადამიანები, კარგად იცნობდნენ ბუნებისმეტყველურ მეცნიერებებს.

მთელი სამყარო ერთ უზარმაზარ ქარხანად რომ იქცეს, კაცობრიობა ყოველთვის სიამით ადვსილი ყურს დაუგდებს ბულბულის სტვენას, ბეთჰოვენის სონატა აბასიონატას და ლირიკოს პოეტის სიმღერას.

მტნარი სიცრუე აღმოჩნდა იმის მტკიცება, თითქოს უსაშველო მაშინერიის ეპოქაში არავის ეცალოს დიდი რომანების საკითხავად. ქართული დიდი პროზა დაამშვენა რამდენიმე თანამედროვე ოსტატმა და ამგვარად შეიქმნა უახლესი ქართული მწერლობა, რომელიც არც ერთ მრავალრიცხოვან ერის

ლიტერატურას არ ჩამოუვარდება თავისი მიღწევებითა და დიდი პოეტური ალით.

კრიტიკა წინა საუკუნეებში ჩვენ არც გავაჩნდა. ხუთიოდე შესანიშნავი კრიტიკოსი გვერდით ამოუდგა ჩვენს პირველხარისხოვან მწერლებს.

ეს ყოველივე ჩვენს ეპოქაში შეიქმნა. ჩვენს თვალწინ და ჩვენივე გამრჩე, დაუღალავი მარჯვენის წყალობით, საბჭოური ხელისუფლების დახმარებით.

ჩვენი მწერლობის კორიფეებმა უკვე გადალახეს კავკასიონის უღელტეხილი და ჩვენ უკვე ჩვენი ქვეყნების მიწებს გადალახა ვერკინებით დიდ მდინარეთა ნაპირებზე დაბადებულ, ისტორიის მიერ განებევრებულ ხალხების მწერლებს.

III

ირაკლი აბაშიძე კარაკეტელი პოეტი არასოდეს ყოფილა. მისი თემატიკის კომპლექსი ფრიალ მრავალმხრივია და მრავალფეროვანი.

ცნობილია, უკანასკნელ მსოფლიო ომში ქართველმა ხალხმა დიდზე დიდი მსხვერპლი გაიღო.

მრავალი ათასი ქართველი ვაჟაკი თავგამოდებით ებრძოდა ფაშისტ კანიბალებს კავკასიის მისაღამებთან, უკრაინაში, მოსკოვის ბეჭეტთან, დნეპრზე, ოდერზე და შტრეზე, იტალიაში, ჰოლანდიაში, მაჟურებზე, ბოლოს, მამაცმა ქართველმა მეომარმა ქანთარამ რაინტაგის რუინებზე აღმართა გამარჯვების დროშა.

დიდზე დიდი მსხვერპლი გაიღო ჩვენმა სამშობლომ. ამ დაღუპულ გმირებს შეეხება ჩვენი პოეტის შესანიშნავი ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“.

ამ ლექსს დღესაც მღერის ჩვენი ხალხი. ირაკლი აბაშიძე უმღერის არა მარტო საქართველოს წარსულის დიდებს, იგი დღევანდლობის მესობტაა.

* * *

ამ მცირე შენიშვნებს პრეტენზია არა აქვთ ი. აბაშიძის მთელი შემოქმედების მიმოხილვისა. ეს ყოველივე მეგობრული გამოძახილია, რაც გამოიწვია ი. აბაშიძის პალესტინურმა ლექსებმა მხოლოდ და მხოლოდ. უნდა ითქვას, ეს ციკლი ლექსებისა დიდი შენაძენია ჩვენი მწერლობის უკანასკნელი ათეული წლებისა.

მე მათ მინაქარული ლექსები ვუწოდებ. ქართველი ხალხის მოუშუშებელი გულისტკივილი იყო და ღარება თამარისა და შოთას დაკარგული საფლავები.

ამის გამო ტირის მეთარე, ეს ატირებს ყმაწვილებს, როცა ისინი „ქართლის ცხოვრებაში“ ამოიკითხავენ თამარის ცხედრის გელათში წასვენებას.

ხოლო შოთას საფლავი? იგი პალესტინაში ეგულებოდა ჩვენს ხალხს და ნაციონალური ტრადიცია უტყველად გამართლებდა ბოლოს და ბოლოს.

შენ აქ ხარ, აქ ხარ, მონასტრის კარებს — ათასწლის ლოცვებს, დაადებს, ქარებს ძაგძაგით, უხმოდ შევახეთ ხელი, გალავნის უკან ჩახანი ხმელი, გალავნის უკან ათასწლის წარი, და ჩვენს წინ მძიმედ გაიღო კარი, მონასტრის არა, კლდეკარის ხვრელი.

შენ აქ ხარ, აქ ხარ, დასრულდა კვალი, მშობელი მიწის ეს მედო ვალი, აქ შენი მშვიდი ნაბიჯი შეწყდა, აქ დაწდა ცრემლი, ხმელეთს რომ რეცხდა, ვდგავარ შენს სახლთან, შენს ჩამქარალ ცეცხლთან წუხილი მესხთა, ძახილი მესხთა.

განა მარტო ეს ორი სტროფი, მთელი ლექსი შეადამტაცია და უცნაური წუხილის მომგვარელი.

მართლაც და როგორი ტრაგედიით დასრულდა უდიდესი პოეტის ბედი. მისმა ქმნილებამ გაუძლო შვიდი საუკუნის გრივადებს, ხოლო პოეტის პირადი ცხოვრება დარჩა ამოუშფოთრავი ენიგმა.

მე არა მგონია ეს ურიგო იყოს. რამდენი მწერლის ბიოგრაფიაა ჩვენთვის ცნობილი, მერე რა?

რუსთველის ცხოვრება დაგვიხატა ქართველი ხალხის მდიდარმა ფანტაზიამ. ამ ლეგენდამ პალესტინამდის მიიყვანა სვედამწარებული პოეტი. ლეგენდაა?

ლეგენდა ისტორიის პირველადი დვრტია. ლეგენდის წიაღში იბადება ისტორია ყოველი ერისა, ხოლო ლეგენდა უსაზმოდ როდი იქმნება. როგორი რომანტიული ამბავია!

შვიდ ნახევარი საუკუნის შემდეგ ქართველი პოეტი საღარიბოდ მიდის პალესტინას და შესანიშნავ ლექსებს უძღვნის ამ ამბავს.

სამმა ჩვენმა აკადემიკოსმა — ი. აბაშიძემ, ა. შანიძემ და გ. წირეთელმა პოეტის ნეშთის ნაცვლად ჩამოიტანეს რუსთაველის პორტრეტის ანაბეჭდი და ჩვენმა ხალხმა გახარა უკვე მოხუცი პოეტის ნახვით.

მე მიმაჩნია: ქართველი ერი ბედნიერია ასეთი დიდი და კეთილშობილი ისტორიის, ასეთი ბრწყინვალე რომანტიული ბიოგრაფიის პატრონი.

ჩვენი მახვილი, როგორც ბიბლიური ხმალი იქცევის, თავს დასტრიალებდა ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოს.


იცავდა არა მარტო ქართველ ხალხს, ჩვენს მოძმე სომხებს, ოსებს, შირვანელებს; სამივე გიორგის, ხუთივე ბაგრატის, დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალისა და სიმონ მეფის მახვილი პერმანენტურად ელავდნენ თბილისის, ლორეს, ბირთვისის, ბოჭორმის, ანისის, დვინის ციხეთა დაცვისას და იგივე მამაცურად უტევდა თავრიზის, ბაღდადის და მოსულის ციხადელებს.

ამ გაუგონარმა სიმამაცემ დაგვატკო ჩვენცა და დაგვაჯუჯავა.

აღმოსავლეთის ფანტაზურმა ურდოებმა შელევს თბილისის, ლორეს, ბირთვისის, ბერთვისის, ვარძიის, ტაოს კარის, ალიჯის კარის და არზრუმის ციხეები, სამეფო დროშები ომებში დაფხრიწეს, მაგრამ ვერ შემუსრეს

ჩვენი ერის უკვდავი სული და ქართველ ხალხს ხელიდან ვერ გამოაცალეს ხმალი იქცევის. იგი ყოველ ჩვენთაგანს ხელში ექნება სიკვდილის უამაზოს.

ვინ იცის, როგორ მეღის ვარძია, რა დიდ ფიქრშია, რა მწველ დარღვია, როგორ აძგერდნენ სამცხის ქედები, ვინ იცის, როგორ მეღის ვარძია.



როგორ მეღიან თმოგვის კედლები, უთქმელ დაღადით, უთქმელ ვედრებით, როგორ ამღერდნენ მაღალ ღმერთისთვის, როგორ მეღიან თმოგვის კედლები.

ბრწყინვალეა „ხმა ჭვარის მონასტრის გაღავანთან“.

ციტატის მოყვანაც ძნელია, ეს არის ნამდვილი რეკვიემი მზეგადასულ საუკუნეთა.

საქართველო ამაჟობს არა მარტო თავის ტერიტორიაზე მოფენილი ტაძრებით, კოშტებითა და ციტადელებით, არამედ ქართველი ხალხის სახსრებით აშენებული მონასტრებით, იგულისხმება პეტრიწონის, ათონის, პალესტინისა და იმ ცამეტი ტაძრის რუინები ანტიოქიის სანახებში, რომელიც ამას წინათ აღმოაჩინა ინგლისელმა არქეოლოგმა სტივენსონმა.

ეს მონასტრები მარტო კულტის შესასრულებელი პუნქტები როდი ყოფილან, არამედ იმუამინდელი განათლების კერანი.

არაბებმა, მონღოლებმა და თურქებმა შელევს ეს ტაძრები, მაგრამ თავდადებულ მოღვაწეთა შრომის ნაყოფი ათასობით ინახება დღეს ჩვენს მუზეუმებში.

მე დავიკარგე, დავიკარგი, თუ დღეს აღმოჩნდები?..

მე გარდვისახე? ძველი ჩემი გახმა ყვავილი? კვლავ ახალ ვარდთა, უფრო კარგთა დღეს ვარ მფლობელი.

გვამცნობს პოეტი.

ისტორიის უქცეველი დილექტია ასეთია: მტარვალეების ხმალია და წერაქვ-ცულს არ ძალუძს კულტურის ფენომენთა აბსოლუტური ამოძირკვა, ამიტომაც ამაოდ დაშვრნენ ბნელეთის მოციქულები.

კულტურის შემუსვრა ყოველად შეუძლებელია. მთელს მსოფლიო კსტორიას თვალი რომ გადაავლო, უთუოდ დარწმუნდებით, რომ ბარბაროსები საბოლოოდ მუდამ დამარცხებულან.

ამან გადაარჩინა ეგვიპტის, პალესტინის, ძველი საბერძნეთის, საქართველოს და სომხეთის მწერლობა, მხატვრობა და ხუროთმოძღვრება.

ცნობილია: როცა ატილას ტბილი ლექსი მოასმენინეს, მან იტირა თურმე-დახმხვნენ ღაწვეილები, სასანიდები, ფეხლები, თემურ-ლენგი და ჩინგისხანა, ჯალალ-ედინი და სულტან ბაიჯეითი, მაგრამ გადაარჩინენ მათ მიერ მიმძლავრებული ერები და კულტურანი. ოდითგანვე ხელოვნება ფენიქსის დარად აღორძინდებოდა ხოლმე მრუმეს საუკუნეთა რუინებიდან. სწორედ ამან გადაარჩინა ჩვენი დიდი რუსთაველი, ჩვენი იგავიუწვედენელი ხუროთმოძღვრების, მხატვრობისა და პოეზიის ძეგლები.

ხომ შეადამტაცია უკვე ღრმა სიბერეში გადამდგარი გრივოდ ორბელიანის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

ჩემს სიჭაბუკეში მე არ შემეძლო სტრემლოდ წამეკითხა იგი. როგორი საშინელი უსასოზა და სევდა დავცოტოვა მას და გრივოდ ორბელიანი იმითომაც ჩავიდა საფლავში გაუხარელი, რომ იგი სიცოცხლეშივე დამარცხდა როგორც მამულიშვილი.

ირაკლი აბაშიძის პალესტინურ ლექსებშიც ალაგალაგ იგრძნობა შეფარვული სევდა, მაგრამ საბოლოოდ იგი საქართველოს ფენიქსებრი აღორძინების მედაფეა. მან კარგად იცის, რომ ეს ჩამოღწეული ციხეების და დანგრეული მონასტრების აღმშენებელი ამაოდ არ დამაშვრალან.

ქართველი ერის შეუღრეკელი სული, მისი ენა, მისი მწერლობა შეუმუსვრელი აღმოჩნდა და სწორედ ამან შეგვადამტინა ჩვენ, მათ მესიტყვედ ახალი სიტყვა გვეთქვა ჩვენი დიდი ეპოქისათვის.

პალესტინური ლექსების ციკლში მრავალი მარგალიტია, მაგრამ ჩემს გულს ყველაზე მეტად მოხვდა სავსებით იშვიათი, დიდი ოპტიმიზმის სხვიით გამოტბარი „ხმა კატამონთან“.

ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ, შენ ჩვენო ნიჭო, სროლაავ და ფრენავ. შენ, ჩვენი სუნთქვის დილა აღამო, შენ ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო, შენ კირო ჩვენთა, ქვათა და კირთა...

...დაეცეს იქნებ სიმაგრე ყველა, მოისრას იქნებ ყველა ყმა ვილადა, დაედოს მტვერი ყველა დიდ სსოვნას, დააკვდეს აჭრი ნაპოვნის პოვნას, ყოველ ნერგს იქნებ დაატყდეს მუხი, ყოველ ძეგლს იქნებ დაედგას ფეხი, მხოლოდ შენ უტკნობს, შენ ხმატად ქცეულს რა დრო, რა დასცემს, შენს უკვდავ სხეულს?


ასეთი ომანიანი, ვაჟაკური ამოთეოში ამშვენებს და აგვირგვინებს ირაკლი აბაშიძის ბრწყინვალე ლექსების ამ კრებულს.

* * *

ირაკლი აბაშიძე დიდის გულისხმიერებით ეკიდება ყოველ პატრიოტულ კულტურულ წამოწყებას.

ვუსურვოთ მას ახალი და ახალი წარმატებანი როგორც მწერლობის, ისე საზოგადო მოღვაწეობის საქმეში.

კონსტანტინე ბამსახურდია



ალოო
ალაძია
[ქქქქქ]



რა უმიზეზოდ...

წვიმს და სველდება ფანჯრების მინა,
წვიმაში მოთქმით ტირიან ხენიცი,
შენ სხვა უბანში დაიდე ჰინა
და დაამწუხრე უბანი ჩვენი.

ნაბიჯი შენი ჩემს ნაბიჯს შლიდა,
ლიმილით ჩემით შენს ღიმილს
ვშლიდი;
ახლოს მყავდი და ვიყავი მშვილად,
რა უმიზეზოდ ვყოფილვარ მშვილდი

ზღაპრები ნავში

ჩვენ საბას ზღაპრებს ვუსმენდით
რიდით,
შორს მივცურავდით თეთრი
ნავებით, —
და აღიოდნენ ზეცაში ხიდიოთ
ავხორცები და კუდიანები.

...ქალიშვილს დევი ბაჭბაჯით
სდევდა —
მიშრიალებდა ბნელში ხანძარი
ვაუმა ცხრათავი წაპრა დევს და
ძირს დასცა დევი უწარმაწარი, —

თუმც დევი კლდესაც კბილებით
კვნიტდა!
რა უცნაური იყო ზღაპრები:
იხოცებოდნენ წყვილად და კენტად
ავნი, ბორბონი და უმადრები...

გვესმოდა მათი გვემა-წუხილი,
ბნელში დევებად ჩანდნენ
ბორცვები —
და რიალებდნენ ცაში ქუხილით
კუდიანები და ავხორცები.

იმ შორეული დევის მოშეშეს
აცრემლებული გვექონდა თვალები.
მერე მე კოცნით დაგაშოშინე,
მერე ჩაგბლუქე დევის
ბრჭყალებით.

მერე ხმალდახმალ ვჩეხე ურჩები
იმ დევის მკლავებს გაღაგარჩინე,
მაგრამ ჩემს მკლავებს... ვერ
გაღურჩები!

გ ა ღ ი ა

განა ოდესმე გითქვამს, გაღია,
შენ საუველური ჩემთვის მცირედიც?
„გაუტყდა? ერთი ცილა ბაღლია“...
და მტირალს თვალში შემციციებდი:

დამიმსხვრევია შენი სათვალე,
მიომიქარგავს ჭრელი ღიმილიც...
„მოეშვიო, ამ ბაღლს, რად
უთვალთვალეზო
და იქედნურად რად ებღვირებო?“

შემიყუებდი მკერდში ჩიტვით,
შენ ერთადერთი მყავდი მფარველი,
შენი თვალების ღიმილ-ტირილი
დღესაც თბილია და საყვარელი —

თუმც იმის შემდეგ გავიდა რა დრო!
ჩამოიღეწა ბევრი კლდეკარი...
ახლა თვითონ ვწრდი პატარა
სანდროს —
ანცია, მკვირცხლი, დაუღეგარი!

კედელზე ხატავს გაფრენილ ჩიტებს,
ოთახში დადგა ციხის ბურჯები,
დარბის და ბტომით თავისიერს
იტებს,
არ ვიცი როგორ გადავურჩები...

შემომახია გულზე საკინძე,
ჩემი ჩიბუხიც გაპქრა უკვალოდ...
მომეკვრება და შენს თავს მაზიციებს,
გაღია, რა ვქნა?
არ დაუუყვავო?

გ ზ ე ბ ი

ალარ მღეროან აქ ოროველას,
არ ბუბუნებენ ახლა ეს გზები;
აქ გაუვლიათ ზვიად თორელებს
შუბებით, ხმლებით და
სატევრებით, —

და ნაგზაურზე ბზინავს ბალახი!
გადავუარე დილით კოდიანს,
მზის სხივში თოვლის ფანტელი
ცრიდა;
მგზავრები გზებზე მიდიმოდიან,
მე თვითონ გზების მგზავრობა
მინდა, —

და მომყვებიან რიგრიგად გზები!

და მიმყავს გზები ზევით და მაღლა,
სადაც ვერ ძლებენ თვითონ მუხებიც;
არა, გზებმა არ იციან დაღლა,
მხოლოდ ხანდახან ჩაიმუხლებენ,
მხოლოდ ხანდახან შემოუხვევენ,

რომ ამოიღონ მუხლებში ქარი!

გზა გაჰკეთოს კლდეს და ხრამზე
გაუხვევს,
მერე ეშვება ბარში ლარივით;
მზეში ბალახობს ხარი საუღლე,
ჩრდილში კი წვანან ნაუღლარები, —

და ძველი გზებიც გართხმულან
ჩრდილში!

თვლემენ და ხედვენ — შექპრა
კამარა
მტერმა და ჰკაფა ვაზის ლერწები
აღიმართება დედა თამარი
და მტერი უკუ მიიღეწება...

ო, რა შორეულს ხედავენ წარსულს!
ახლა ჩრდილიან-ბალახიანი,
თვლემენ და ლოცვას ავლენენ
ცაში —
არ დაუმარცხდეს კაცურ კაცს გზაში!

გ ა გ ე თ ა შე ნ თ ა...

გარდაისახე, ქალო, პირჯვარი
და დაიბერტყე ფრთები ოცნების,
განა გიშველის შენ ციხიჭვარის
ხატი, სანთელი და შელოცვები?

დაემხე გზად და შენდობა მთხოვე
ჭავახეთისკენ მიმავალ ფხოველს...

მე გაიტაცებ როგორც შერგილი,
ბნელს რომ დაიფენს მთა და
ტყე-ვილი;
ავწრილდები მერე შღეგვით
ღვთისაგან ცოღვებშიუთველი —

მაგრამ ლაღობით ღმერთთან ასული...
ბაგეთა შენთა შემინდონ ცოღვა,
ძმუთთა შენთა მისცენ დასტური!

ზანაპრო გუტუზო ბასაზი



რომი. ლეონინას ქუჩაზე.

ყველა საუკუნეს, ყოველ დროს თავისი ფიქრები, თავისი ტანჯვები, სიხარული, სამყაროს ჭკრეტის თავისი ასპექტი აქვს. ყოველი დროის შემოქმედი გენიოსი თავისი ახალი ქვლიტებით, ახალი ხარისხით გამოირჩევა. იტალიაშიც ეს ნათლად მოჩანს: ახალი რომის ნაგებობანი კოლინეუმს არა ჰგავს, მილანოში მონტეკატინის ცთამბჭენების არქიტექტურა ისევე შორს არის ამ ქალაქის განთქმული ტაძრისაგან, როგორც მეთხუთმეტე საუკუნე ჩვენი დღეებისაგან. ჩვენი ცოცხალი შთაბეჭდილებით თუ ვინაყელით, სხვადასხვა საუკუნის ეს ძეგლები ადამიანის შესაძლებლობის, მისი შემოქმედების უსრულებლობის მაუწყებელია. ოცდაძეერთე საუკუნეში სხვა რამ სასწაულს მოახდენს ალბათ ჩვენი შთამომავალი.

რენატო გუტუზო ისე არ ხატავს, როგორც რენესანსის მეტრები ხატავდნენ. ჩვენ აქ ტალანტის ხარისხზე არ ვმსჯელობთ, არც პიკასო ხატავს ისე, როგორც ხატავდნენ ველასკესი და გოია.

რომში ყოფნისას ევროპელ მწერალთა გაერთიანების გენერალურ მდივანს ჯანკარლო ვიკორელის ვესტუმრე. მე მას იტალიაში ჩავუტანე პროფ. შ. ამირანაშვილის „საქართველოს ხელოვნების ისტორია“ და ახლად გამოსული მონოგრაფია ნ. ფიროსმანაშვილზე. ძლიერ გაიხარა. ნიკოს თავჯანსმცემელია. სულ იმას ოცნებობს, მისი სურათი თუ არა, ერთი ეტიული მაინც შეიძინოს როგორმე.

ვიკორელიმ რენატო გუტუზოს ალბომი მაჩუქა და მითხრა — რომის მოსაგონარი იყოსო. ამ ალბომიდან ამოვიღე ოთხი რეპროდუქცია, „დროის“ ამ ნომერში რომ იბეჭდება.

დღევანდელ იტალიაში რენატო გუტუზო ყველაზე უფრო განთქმული მხატვარია. გუტუზო შესანიშნავი გრაფიკოსი და არა ნაკლები ხარისხის კოლორისტი, დიდმა გამოცემლობამ „მოსტადორიმ“ მას დაუკვეთა დანტეს „ღვთებრივი კომედის“ ილუსტრაციები, რენატო გუტუზომ ათასა ილუსტრაცია გააკეთა და აქედან მხოლოდ ასი აირჩია, რომელიც დაამუშვენებს დანტეს ამ აჯა-

დემიური გამოცემის ერთ მილიონ ცალს. იტალიელი მეგობრები ნეუბნებონენ, „გუტუზოს ილუსტრაციები ძეგლია, რომელიც მეოცე საუკუნეში დაიღვივებს და აღვივებს დაუდგაო“. მე ათიოდე ილუსტრაცია ვნახე ორიგინალში. სანამ ცოცხალი ვიქნები, მათ ვერ დავივიწყებ, ისევე, როგორც ვერ დავივიწყებ მიქელანჯელოს სიქსტეს კაპელას მონახულობას.

რ. გუტუზო ჭეშმარიტი რეალისტია, ის სამყაროს ზედაპირული აღქმით არ ემაყოფილება, ბუნებისა და ცხოველების სიღრმეში იყვდება; ის უაღრესად ეროვნული პოეტია. მის ტილოებზე, ეტიუდებზე, ჩანახატებში ცოცხლობს მისი განუმეორებელი, შესანიშნავი სამშობლო, ცოცხლობენ იტალიის ადამიანები; რ. გუტუზოს სწამს თავის ქვეყნის, ერის მომავალი, ის კომუნისტია, ისევე როგორც პიკასო, როგორც ლეჟე, დიეგო რივერა და სხვა გასორიელი მხატვრები დასავლეთში.

რ. გუტუზო მშრომელი იტალიის მხატვარია, ის დიდი შთაგონებით ხატავს იტალიელ მუშას, „მუდმივი ქალაქის“ ქუიებს, შესახვევებს, მივარდნილ უბნებს. მას წმინდა, ფაქიზი გრძნობით უყვარს მშობლიური გარემო.

რ. გუტუზომ განსაკუთრებული ოსტატობით ამხილა ყველაფერი ცული და ბოროტი, ყველაფერი, რაც ადამიანს სტანჯავს.

რომში, ნეაპოლში, ვენეციაში, ფლორენციაში, მილანოში ბევრი სასწაული ვნახე. ხელოვნების უკვდავ ძეგლებს რომ შესცქერი, საკვირველი გრძნობა გაეპყრობს, გიხარია, რომ შენც ადამიანი ხარ, რომ სწორედ შენმა მოდგამმა შექმნა ეს საკვირველებანი და სასწაულები.

რენატო გუტუზოს მხატვრობას ყურადღებით რომ ათვალთვლებ, არ შეიძლება არ გაიფიქრო — არ დასრულებულა ადამიანის მხატვრული პოტენცია, ის კვლავ შფოთავს, კვლავ ეძიებს, კვლავ ქმნის.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



„მოწყალეობა ღვთისათა“.

საქართველო




ქვისმთლები შესვენების დროს.

სახლი ნავონას მოედანზე



სახლი ნავონას მოედანზე





საკრძო კლინიკილი

მატყარი ღ. ნოდია

ალბათ ყველა ჩემს კოლეგას გაცნობილი აქვს ის სიხარული, როცა პირველად ნახა დაბეჭდილი თავისი ნაწარმოები. იმ დღეს თითქოს ყველაფრის ფერისცვალება ხდებოდა, — გარემო სიხარულს მოუცავს, ცხოვრება დაუსრულებელ ბედნიერებად ჩანს, ცა უჩვეულოდ ნათელი... მომავალში არა ერთხელ მოიღრუბლება, ბევრჯერ მხრებს დაგიძიმებს ის ტვირთი, რომლის ზიდვა გიჯისრნია, მაგრამ ის პირველი ბედნიერი წუთი მაინც ტკბილ მოგონებად რჩება!

ზოგიერთს თავიდანვე, პირველი ნაბიჯის გადღვამისთანავე წვევია ის დაუვიწყარი სიხარული, მე კი, როგორც ჩემს ადრინათ ახალგაზრდობის ასაკში მიმაჩნდა, ბედი არ მწყალობდა. ბავშვობაში ლექსებს ვწერდი, ვუბრაყნიდი მათ ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ არც ერთი არ დამიბეჭდეს. მაშინ ძალიან ეწუხდი, ახლა კი დიდად მაღლობელი ვარ რედაქტორების და ცხონებას ვუბრაყნი მათ სულს, რომ არ გამოაქვეყნენ და ჩემთვის მრუდვ გზას ამატონინეს.

იმ წლებში პროზა არ მიზიდავდა და ერთხელაც არ მიფიქრია, რომ მომავალში ამ მიმართულებით ვიმუშავებდი. ხოლო პროზა რომ ჩემი მოწოდება იყო, ამას ისიც მოწოდებს, რომ სრული რვა წლის არ ვიყავი, როცა მოთხრობა დავწერდი. უფრო სწორად რომ ვთქვა, რალაც მსგავსი ამისა.

რა თქმა უნდა, მისი შინაარსი მიაბიტიური იყო. კარგად მახსოვს სიტუეტი... მაგრამ ვიღერ მას გაეიხსენებდე, მინდა ერთგვარად თვალი მიმოვავლო ჩემი პირველი მოთხრობის გვირის გარემოს, რომ ამით უფრო გასაგები გაგხადო მისი ხასიათი, რომელმაც ბიბიე მისცა ბავშვის ფანტაზიას.

ის დრო იყო, როცა ჩემი მშობლები ბათუმში ცხოვრობდნენ, ქალაქის განაპირა უბანში. ჯარის ნაწილი, სადაც დავითი მსახურობდა, განლაგებული იყო ვრცელ ვაკეზე. აქ აშენებული იყო ხუთი გრძელი ერთსართულიანი ყახარბა, სხვადასხვა ცეიხპაუზებზე, იარაღის საწყობებზე, შტაბის შენობა, სასპორტო მოედანი და ორსართულიანი დიდი სახლი, სადაც ოფიცრების საცხოვრებელი ბინები იყო. მთელი ის უზარმაზარი ტერიტორია შემოვლებული იყო რკინა-ბეტონის მალაქლი კედლით. ოფიცრების სახლის წინ დღე-ღამის განმავლობაში თოფიანი გუშავი დადიოდა, რომელიც ნაწილის უფროსთან ცალკე ოთახში მოთავსებული სამხედრო დროშას დარაჯობდა. ჩვენი ბინა ზედა სართულზე იყო. ფანჯრებიდან მოჩანდა თამარის მთაზე ამართული ფორტი. ფერდობზე გაშენებული აპარული სოფელი და მთების გრებილი,

თითქმის მთელი წლის მანძილზე მწვანეში ჩაფლული. უკანა აივანი კი როტმილის ნავთის ქარხნების ვეებრთელა რეზერვუარებს გადაჰყურებდა.

ჩვენს ქვემოთ, პიოველ სართულზე, ცხოვრობდა ახალგაზრდა ოფიცერი ნეცკი. შუატანის, ფერმკრთალი, ლამაზი სახის კაცი იყო. ცოლი არ ჰყავდა, მუდამ პაპიროსი ეჩრა პირში, თავჩაქინდრული დადიოდა, თავის ფიქრებში გართული ჩანდა. ერთ ოთახში ტელესკოპი ედგა, და როგორც კი დაამდებოდა, ვარსკვლავებს უთვალთვავებდა. დიდად თავაზიანი ადამიანი იყო, ბავშვებსაც „ოტკვენობით“ მოგვმართავდა.

რამდენიმეჯერ მეც შემახედა ცაზე ტელესკოპიდან. გვერდით დამიჯდებოდა და რჩევას მაძლევდა რისთვის და როგორ მეტყვირა. როცა შემდეგში ნეცკი გამხსენებია ხოლმე, ყოველთვის ისე წარმოთიდგებოდა, თითქოს რალაც სევდა ამიძებდა და ამ ტვირთის შემსუბუქებას იმით ცდილობდა, რომ უსაზღვრო საძყარის უქაყმირდებოდა. ის, ცხადია, ცხოვრებაში თავის ნამდვილ დაწინუხლებას აცდენილი პოეტური არსება იყო.

ხევისკის, როგორც ოფიცერი, ჰყავდა „დენშიკი“, შინ მოსამსახურე სალდათი, რომელსაც პანკრატი ერქვა. ეს ახალგაზრდაც თავისებური იყო. მეტისმეტად სენტიმენტალური და ამასთანავე ისეთი გულბრუნვილი, რომ კინაღამ სულელად მოეჩვენებოდა კაცს. წერა-კითხვა არ იცოდა და მშობლებთან უკრაინაში გასაგზავნ წერილებს მე მიკარნახებდა. ყველა წერილი უნდა დაწყებულიყო ასე: „იფრინე, იფრინე ქალაღის ფურცელი და ხელში ჩაუვარდი საყვარელ დედას და მამას, რომ მათი შვილის პანკრატის ამბავი გაიგონ“. იტყოდა თუ არა ამას, თვალები ცრემლებით ავესებოდა, რამდენიმე წუთით თავს დაბლა დახრიდა და ტიროდა. ტიროდა ჩუმაღ, გულჩათუთქულად. გულს რომ მოიოხებდა, კარნახს განაგრძობდა. მთელი წერილი ავსებოდა იმით, რომ მოკითხვას უგზავნიდა ძმებს, დებს, ნათესავებს, თანასოფლელებს. ყველას ჩამოთვლიდა სახელითა და მამის სახელით და თვითეული სახელის წინ უნდა დამეწერა: „და კიდევ მოვიკითხავ ამას და ამას და მის წინაშე თავს დაბლა ვხრი“...

ერთხელ პანკრატმა სამშობლოდან სამწუხარო ამბავი მიიღო, მისი უმცროსი ძმა გარდაცვლილიყო. საოცრად იგლოვა, ხშირად ტიროდა, ბოლოს მივიდა თავის ბატონთან და ჰკითხა: „შიძლეობდა თუ არა ტელესკოპის საშუალებით დანახა ძმის სული, თუ როგორ მიფრინავდა ის დმერთისკენ.“

„პო, მაგრამ, უკვე რამდენიმე კვირამ გაიარა და ახლა სულს მთელი გზა გავლილი ექნება“, — ეპასუხნა ნეცკის.

პანკრატმა მაინც ითხოვა ნება მიეცა ეთვალთვალებია ტელესკოპის საშუალებით. ნეცკიმ აცქერინა, მაგრამ გულბრუნვილი პანკრატმა, ცხადია ვერ დაინახა ვინც უნდოდა და იმის შემდეგ ხშირად წუხდა: მშობლებს რომ დროით ეცნობებოთ, ცაში მიმავალ მის სულს დაენახავლიო.

აი ეს პანკრატი იყო ჩემი პირველი მოთხრობის გმირი. შინაარსი ასეთ ქარზე იყო აგებული: ლამა, წვიმს, ქარი ზუზუნებს. ჩვენი სახლის წინ პანკრატი დაღის თოფით მხარზე და დროშას დარაჯობს. როტმილის რეზერვუარებს უეცრად ცუცხლი წაეყიდა, უზარმაზარმა ალმა გაანათა თამარის მთაზე ამართული ფორტი, მერე ღრუბლებიც და გამოჩნდა ცაში მიმავალი პანკრატის ძმა, პანკრატი შესძახის. უხმობს დაბრუნდიო, მაგრამ ძლიერი ქარი ფანტავს ხმას. ჯარისკაცმა დაიფიწყა თავისი მოვალეობა, ყურადღებას აღორ აქცევს საგუშავოს, არ ეშუება ცას. ბოლოს შეიბრენს სახლში, გამოიტანს ტელესკოპს, მისი საშუალებით ხმას მიაწვდის ძმას და მასთან საუბარს გააბამს. ამით ისარგებლებს ჩასაფრებულმა ბტრებმა და დროშა გაიტაცეს...

როგორ თავდებოდა ამბავი, რა ბედი ეწია ჩემს პანკრატს, ეს კი აღარ მახსოვს. ამის შემდეგ დიხანს არ დამეწერია მოთხრობა და მხოლოდ ექვსი თუ შვიდი წლის შემდეგ, როცა პოეზიაში მარცხი განვიცადე, ისევ პროზას დავუბრუნდი. მაშინ უკვე ქუთაისში ვცხოვრობდით.

დავუბრუნდი, მაგრამ ბედმა არც აქ გამოიღმა. მე უკვე დაბეჭდვის კინი მაწვავლებდა, რედაქციებში კი არ მწყალობდნენ. როგორც იქნა, ერთხელ გამახარეს, ოლოდ ისიც სანახევროდ, რადგან მოთხრობა კი არა, ჩემი რეცენზია მოათავსა „სახალხო გაზეთმა“ ქართული თეატრის დასის მიერ დადგმულ პიესაზე: რეცენზია მეტად მკაცრი იყო, ქვეშ ეწერა ფსეიდონიმი „სერგო“.

პატარა რეცენზია არის, მაგრამ მაინც მსგონია, რომ ქვეყნიერება შევძარი. კარგად მახსოვს: მამა სამსახურიდან მოვიდა და სადილად დაგხებლით. გიშნაზიდან დაბრუნებისას უტავლევ არ გავამხილე ჩემი ავტობობა. როცა ყველაში სუფრას შემოვუსხდებოთ, მაშინ განვცხადებ სახეიმო!

და, აი, რომ ვაპირებ ამის შესახებ სიტყვა ჩამოვავლო და ყველა ვასიამოვნო, მამა ეუბნება დედაჩემს:

— უცნაური ხალხი ვართ ქართველები. ვაძახით, ქართულ თეატრს ხელი უნდა შეგვეწყობოთ და იმის ნაცვლად, პირიქით, ძირს ვუთხროთ. დღევანდელ გაზეთში ვილაც „სერგოს“ წერილია მოთავსებული, ბრიყული, სულელური, იხანდავს დადგმას, მსახიობებს. ჩვენი მსახიობები ისედაც გაჭირვებას განიცდიან, ის ვილაც ოხერი კი უფრო უფუტუქებს მათ გუნებას. მიკვირს, როგორ დაბეჭდა გაზეთთან... ამის შემდეგ ცხადია, ფიქრიც აღარ შეგძლო გამემხილა ავტობობა.

ჩემს ახლო, იმავე ქუჩაზე, ცხოვრობდა ორი კლასით ჩემზე წინ მყოფი, სამი-ოთხი წლით უფროსი ერთი გიმნაზიელი, გარეგნულად ატლერი და ძალიან ბოხი ხმის მქონე. მის ნამდვილ გვარსა და სახელს არ გავამხელ. ამ შემთხვევაში ამოგონილს ვუწოდებ, კოტეს შევარქმევი. ის ცოცხალი აღარ არის და არ მინდა იმ კომიკური სიტუაციის გახსენებით შეგვრთავსეყო. კეთილი და გულსხმებიერი ჰაბუტი იყო და არა ერთხელ მეგობრობა გაუწევია ჩემთვის.

სალამო ხანს გადავირბენდი ხოლმე კოტესთან და ვუამბობდი ჩემს მიერ შეთხზულ, მაგრამ ქალაღზე გადაუტანელ ამბებს. მე ხომ ამით გულს ვიოხებდი!

კოტე ყოველთვის დიდი ხალხით უსმენდა ჩემს იმპროვიზაციებს. მაშინ არ დავფიქრებულვარ, თუ რატომ მოხვდა კიდეც და კიდევ მეამბნა. მაგრამ ერთ დღეს მთელი ეს საიდუმლო სულ უბრალოდ გაიხსნა: გავშალე ახლად მიღებული გაზეთი და რას ვხედავ! კოტეს ხელმოწერით დაბეჭდილია ერთი ის ჩემი ზემირი მოთხრობა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ვუამბე.

მე ხომ ის ადრევე მქონდა რედაქციაში გაგზავნილი? მაშ რატომ ჩემი არ გამოაქვეყნეს? იქნებ ცუდად იყო დაწერილი? არ ვიცი. ამას, რა თქმა უნდა, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თავისთავად ყველა სიტუეტი კარგია, მაგრამ თუ ის ცუდად არის დამუშავებული, აღარავითარი ღირსება არ გააჩნია...

მაგრამ კოტეს ხელმოწერით გამოქვეყნებული მოთხრობა თითქოს სიტყვა-სიტყვით იმეორებს ჩემს მიერ ნაამბობს... ეშუაქმა დღე-ღამეობა, მთელი და გულგრილად შეხვდი ამგვარ უიღბლობას.

მაშინვე ვინახულე კოტე და მივეულოე. დღეობტანტმა მილოცა მე მთელი, თითქოს მე ამ საქმეში არავითარი წილი არ მეღო. ერთი უბრალო სიტყვაც არ დაცდა იმაზე, რომ სიტუეტი ჩემი იყო! გამოვიკირა ამგვარი უმადურობა, მაგრამ რა შექნა. ერთი კვირის შემდეგ იმავე გაზეთში ისევ დაიბეჭდა კოტეს ნაწარმოები... ესეც ჩემი მონაცყოლი! კოტესთვის ბეგერი რამ მქონდა ნაამბობი და უნებურად გავიფიქრე: თუ ასე გაგრძელდა, ყველაფრისგან გამძარცვავს... რა იქნება, თვითონ ვცალო?

მოარული ერთი თქმელება დავწერე საჩქაროდ, მასთან ერთად მინიატურაც და ორივე გავგზავნე თბილისში. მახსოვდა, თქმელება წინათ ნაამბობი მქონდა კოტესთვის და ვიშობდი ჩემზე ადრე არ მიეწოდებინა რედაქციისათვის.

აღსრულდა დიდი ხნის ნატვრა, აღსრულდა ორმაგად... ორივე ჩემი მასალა გამოქვეყნდა, ორ სხვადასხვა გაზეთში!

მაგრამ ნახეთ ბედის ირონია!.. გაზეთ „საქართველოში“ რომ ჩემს მიერ დამუშავებული თქმელება დაიბეჭდა, იგივე მოთხრობა მთავარი გიმირის იმავე სახელით, ისეთივე სიტუაციებით „სახალხო გაზეთში“ იყო გამოქვეყნებული კოტეს ხელმოწერით... და, რაც მთავარია, ერთსა და იმავე დოეს! ორი სხვადასხვა ავტორია, ხოლო ნაწარმოების შინაარსი და ზოგჯერ ცალკეული წინადადებაც კი, ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს...

იმ საღამოს კოტესგან ბარათი მივიღე. სასწრაფოდ მიხმობდა. მიხვდი, რატომ ჩქარობდა ჩემს ნახვას... შევედი თუ არა მასთან, საღამოც არ უთქვამს, ხმამალა და გაბრუნებული დამომართა:

— როგორ გაბედე იმ სიტუეტიზე მოთხრობის დაწერა და რედაქციაში გაგზავნა? რას გაქს ეს! მე უკვე მიცნობს მკითხველი, შენ კი ვინ ხარ?

ხმა არ ამომიღია. რატომღაც დამნაშავედ ვგრძნობდი თავს. მხოლოდ ოდნავ გამიღიმა.

— თავგედო! — მომძახა უტერად. — ბოღის მოხდის მაგიერ შენ კიდევაც იკრიპები! მეორედ აღარ გაბედო ასეთი რამ, თორემ...

რით დამეშინა, არ ვიცი, რადგან მაშინვე გაიტრიალდი და უკაცკალი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ მაინც შევირგდით და მეგობრობა განვაახლეთ. ოლოდ ამიერიდან აღარაფერი მიაშინა კოტესთვის და მისი მწერლობაც დასრულდა. მეტი მას აღარაფერი დაუბეჭდავს.

საზოგადოებრივი მედიის ცენტრი

ქართული განმარტებითი ლექსიკონის პირველი ტომი 1950 წელს გამოვიდა, ბოლო, მერვე ტომი კი ახლახან მიიღო მკითხველმა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველი ტომის გამოსვლამდეც რაოდენი შრომა იყო საჭირო და რაოდენ დროს მოითხოვდა იგი, ცხადი გახდება, რომ ამ ლექსიკონის შექმნას ჩვენი აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კოლექტივმა ათეული წლები შესწირა. ამ ხანგრძლივმა, დაუღალავმა, გულმოდგინე შრომამ მართლაც მშვენიერი ნაყოფი მოიტანა — ახლა ჩვენს წინაშე მთელი საგანძური ქართული ენისა, უზარმაზარი ლექსიკონი, რომელიც 112.949 სიტყვას შეიცავს.

ვიდრე უშუალოდ ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონს შევხებოდეთ, ჩვენ გვინდა მკითხველს გავახსენოთ ორიოდე ადგილი გამოჩენილი ფრანგი მწერლის და დიდი ზემოქმედების ანატოლ ფრანსის ნარკვევიდან „ლიქსიკონი“. აი, რას ვკითხულობთ ამ ნარკვევში:

„ბოდლერი მოგვითხრობს, რომ იგი, თავის სიკბაუკის წლებში, როცა მას ჯერ კიდევ არავინ იცნობდა, ეწვია თეოფილ გოტიეს. მსცოვანი მწერლის პირველივე კითხვა ასეთი იყო:

— კითხულობთ თუ არა ლექსიკონებს?
ბოდლერი უპასუხა, რომ კითხულობს მათ ხალისით, და კარგადაც მოიქცა, ვინაიდან თვითონ გოტიე, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირდაპირ ნთქავდა უამრავ სიტყვარებას და განმარტებით ლექსიკონებს... და თუ მას მოეწონა ბოდლერის პასუხი, წარმოიდგინეთ როგორ ცამდე აიყვანდა ჩვენს მეგობარს, ბრწყინვალე პოეტს ხოზე-მარია დე ერედისას, რომელმაც საკვეყნოდ განაცხადა, რომ მისი თვალსაზრისით უან ნიკოს მიერ შედგენილი ლექსიკონი უფრო მეტი ხალისით იკითხება, უფრო მეტ სიამოვნებასა და მღელვარებას ანიჭებს ადამიანს, ვიდრე დიუმას „სამი მუსეტიერი“. აი, რას ნიშნავს შემოქმედის წარმოსახვა! ერედისას აზრით, ანბანის მიხედვით ჩამოთვლია ძვირფასი ქვების სახელებსა ან საარტილერიო მუსეუმის კატალოგო უფრო საინტერესოა, ვიდრე განთქმული სათავადასავლო რომანი. რაც შემეხება მე, თუმცა არ გამოვიჩინე ასეთივე გაწაფულობით, მაგრამ ხშირად დამმართნია, რომ გადავშლიდი რომელიმე დიდ ლექსიკონს და დამავიწყდებოდა ჩემი სამუშაოც, ყველაფერი დამავიწყდებოდა და ჩავიკარგებოდი იმ ლექსიკონში, როგორც ვეგბა, ხშირფოთლიან უღრან ტყეში... ახ, სიტყვები — ეს ხომ სახეებია, ეს ხომ ხატებია, ლექსიკონი — ეს მთელი სამყაროა, დალაგებული ანბანის მიხედვით. თუ კარგად ჩავფიქრდებით, ლექსიკონი — ეს არის წიგნთა წიგნი, ის თავის თავში შეიცავს ყველა დანარჩენ წიგნებს...

მე ვთქვი, რომ მიყვარს ლექსიკონები. მე მიყვარს ისინი არა მარტო იმ სარგებლობისათვის, რომელიც მათ მოაქვთ, არამედ ყოველივე იმ ლამაზისა და დაიდისათვისაც, რასაც ისინი შეიცავენ... დიას, აქ არის სილამაზეც და სიდაიდიც... ერთი დაფიქრდით, განა ფრანგული ენის განმარტებით ლექსიკონში ჩაქსოვილი არ არის მთელი სული ჩვენი სამშობლოსი? ამ ათას თუ ათას ორასს, წვილი შრიფტით აწყობილი ფურცლებში ჩატეულია მთელი გენია და მთელი ზუნება საფრანგეთისა. აქ არის აზრები, სიხარული, შრომა და წუხილი ჩვენი წინაპრებისა და თვითონ ჩვენიც; ეს სიტყვები ძეგლებია მათი, ვისაც უსუნესუნეთავე ახლა ჩვენ, რადგან ახლა ჩვენი დროა და ჩვენი ჯერია. ლექსიკონის ყოველ სიტყვას შეეფარდება აზრი ან გრძნობა, რომელიც უსაზღვროდ მრავალი ადამიანების აზრი და გრძნობა იყო... ახლა ეს ერთად თავმოყრილი სიტყვები — სული, სისხლი და ხორცია სამშობლოსი და კაცობრიობისა“.

ანატოლ ფრანსის ეს სიტყვები ჩვენ თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ ქართული განმარტებითი ლექსიკონის შესახებაც. და რაკი-და ამაზე ჩამოვარდა სიტყვა, აქ გვინდა დავიმოწმოთ მერვე ფრანგიც, რომელიც უკვე საკუთარივე ჩვენს, ქართულ ლექსიკონს ეხება. ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი, ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი რენე ლაფონი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ყოველი ტომის გამოსვლას ეხმაურებოდა და რეცენზიას აქვეყნებდა „უფრანს აზრების“ ფურცლებზე. და აი, შარშან თვისი რეცენზია ქართული ლექსიკონის მეშვიდე ტომის გამოცემის გამო რენე ლაფონმა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

„მოუთმენლად და იმედით ვლოდებთ მე-8 და ბოლო ტომს ამ მონუმენტური ნაშრომისა, რანაირიც, საუბედუროდ, ჩვენ არა გვაქვს. საფრანგეთში ამდაგვარი არაფერია“.

როგორც უკვე ვთქვით, ეს დამამთავრებელი ტომიც უკვე გამოვიდა. ამ ლექსიკონის დასრულება — უღაგოდ დიდად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი კულტურული ცხოვრების სფეროში. ბოლო ტომის წინასიტყვაობაში ლექსიკონის მთავარი რედაქტორი აკად. არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს: „ლექსიკონი“

ხალხის პირველ წიგნად თქმულა (C. Volney), ისევე, როგორც „დედა-ენა“ ბავშვის პირველ წიგნს წარმოადგენს. ჩვენ მოგვეპოვება მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი მწერლობა, გვაქვს ეროვნული უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია; უხერხული იქნებოდა ვრცელი განმარტებითი ლექსიკონი არა გვექონოდა“.

ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართულმა ენამ მრავალი განსაცდელი გადაიტანა, მაგრამ ყველაფერს გაუძლო და გასაოცარი სიცოცხლისუნარიანობა გამოიჩინა. ის წინ მიხუდავდა ქართული სიტყვის დიდოსტატებს, გაიხსენეთ თუნდაც სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, რომლის შედგენა — მართლაც უდიდესი საგმირო ღვაწლი იყო მშობელი ხალხისა და მისი კულტურის წინაშე.

საბჭოთა ეპოქაში ქართულმა ენამ განვითარებისა და გაფურჩქვნის განუზომლად ფართო შესაძლებლობანი მოიპოვა. დიდმა ოქტომბერმა დაამსო თვითმპყრობელური რევოლუციის, რომელიც მაქალაქუნასათვის უხუთავდა სულს ხალხებს და ახშობდა მათს ენასა და კულტურას. საბჭოთა კონსტიტუციამ საქმით უზრუნველყო ეროვნულ კულტურათა და ენათა თავისუფალი განვითარება. „სოციალიზმის პირობებში ხდება ერების აყვავება“, — ნათქვამია კომუნისტური პარტიის პროგრამაში. და ახალი ქართული ენის სრული განმარტებითი ლექსიკონის შედგენა და გამოცემა, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში, პროგრამის ამ სიტყვების კიდევ ერთი ბრწყინვალე დადასტურებაა. ასე გაკეთდა ეს საშვილიშვილო საქმე, რაზედაც მუდამ სიცნებობდნენ დიდი მოამბენი ქართული ენისა.

ახალ ქართულ ლექსიკონში აღნუსხული და განმარტებულია ყველა სიტყვა, რაც კი არის დამკვიდრებული აშუამად მხატვრულ მწერლობაში, სამეცნიეროსა და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში, — ერთი სიტყვით, წიგნის მეტყველებაში; ლექსიკონმა ნათლად გვიჩვენა, თუ რა ლექსიკური მარაგი მოგვრევა ჩვენს ენას. ამ მხრივაც, ლექსიკონი დიდად შეუწყობს ხელს ქართული სალიტერატურო ენის შემდგომ ზრდა-განვითარებას. ეს ლექსიკონი — ეპოქის დოკუმენტია, ვინაიდან იგი უკუყვენს ენისა და — ენის მეშვეობით — კულტურის მდგომარეობას.

ახალი ლექსიკონი დოკუმენტირებულია: სიტყვის მნიშვნელობას სათანადო გამოხატვებებით ერთვის, რომ მნიშვნელობა ცხადყოს. ლექსიკონის შემდგენლებს აინტერესებთ არა მხოლოდ მნიშვნელობის დამოწმება, არამედ ისიც, თუ როგორია სიტყვის ხმარების არეალი, ამიტომ მათ უჩვენებიათ რაც შეიძლებოდა მეტი წყარო, დაუსახელებიათ რაც შეიძლებოდა მეტი ნაწარმოები კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურიდან.

დიდი ენათმეცნიერული ალლოთი არის დამუშავებული და განხორციელებული ლექსიკონის გამოცემის ძირითადი პრინციპები. ამას მკაფიოდ მოწმობს თუნდაც მარტო ის, რომ ლექსიკონი შესანიშნავად ასახავს ზმნის სიმრავლესა და მრავალფეროვნებას. ზმნა ლექსიკონში მოცემულია არა საწყისის სახით, არამედ „ბრის, ქცევის, გვარის, კონტაქტის, დინამიკურობა-სტატუტურობის მიხედვით“.

პირველი ტომის წინასიტყვაობაში არს. ჩიქობავა წერდა, რომ ამ „ლექსიკონს ნორმატიული ხასიათი აქვს: საჭიროების შემთხვევაში სიტყვას (მის დაწერილობას, აგებულებას, ხმარებულობას და, ხშირად მნიშვნელობას) დაფასება ეძლევა“. ლექსიკონის ეს ნორმატიულობა განსაკუთრებით საყურადღებო და სასიხარულო ამბავია, ვინაიდან, რა დასამალია, ნორმებისა და ორთოგრაფიის მხრივ დიდს ქართულ ენაში, ცოტა არ იყოს, ქაოსური მდგომარეობა გვაქვს — ვისაც როგორ უნდა, ისე წერს, ყველას თავისი ორთოგრაფია აქვს. ეს კი ყოველად მიუტყვებელი ამბავია; ვინ არ შევსწრებვართ რედაქციებში ამა თუ იმ მწერლის გაუთავებელ დავას — დამიტოვებ, მაგალითითაღ „სთქვა“, „სჩანს“ და ა. შ. აქ რომ სანი ამომიგდოთ, ჩემი ინდივიდუალური სტილი ირდევავო. ხშირად ამაო ხდება მტიციება იმისა, რომ ერთია მხატვრული სტილი, რომელიც აუცილებლად ინდივიდუალური უნდა იყოს, და მეორეა მარტილწერა, სადაც ერთი ნორმა უნდა იყოს; უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს, წერითს სამუშაოებში, ხშირად ორთოგრაფიული შეცდომა ახალგაზრდის ბედს გადაწყვეტს ხოლმე; იშვიათი შემთხვევა არ არის, რომ როცა ორთოგრაფიული შეცდომისათვის შემსვლელს ნიშანს დაუწევინ, ის იმოწმებს ათობით შრომას, ათობით მწერლის წიგნს, სადაც ასეთივე არასწორი ორთოგრაფია გვხვდება. დღეიდან, ამ ლექსიკონისა და კიდევ იმ ერთტომეულის გამოცემის შემდეგ, რომელსაც განმარტებითი ლექსიკონის კომისიის თავმჯდომარე არს. ჩიქობავა მერვე ტომის წინასიტყვაობაში გვაპრდება, იმედია, ასეთ არევ-დარევას ბოლო მოეღება. ეს აუცილებელია და განმარტებითა ლექსიკონმა ამ საქმეშიც გადაწყვეტი როლი უნდა შეასრულოს.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რედაქციული შესანიშნავი ძეგლია, რომელიც ჩვენი ენის, ჩვენი კულტურის წინსვლასა და გამარჯვებაზე მეტყველებს.






ამ სურათზე მკითხველმა არ შეიძლება არ იცნოს გამოჩენილი ფრანგი მწერალი, დიდი ჰუმანისტი ანრი ბარბუსი. მის მარჯვნივ დგას ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი, პაოლოს შემდეგ (მარჯვნივ, მესამე) დგას ძველი ბოლშევიკი სილვა თოდრაია. დანარჩენ პირთა ვინაობა რედაქციისათვის უცნობია. ეს არც იმ ოჯახში იციან, რომლის არქივშიც ეს სურათი აღმოჩნდა.

ანრი ბარბუსის ორჯერ ესტუმრა საქართველოს — 1927 წლის სექტემბერსა და 1928 წლის ივნისში. სურათი ეტყობა გადაღებულია მისი ერთ-ერთი ესტუმრობის დროს.

მკითხველებს, ვისაც ამ სურათის გადაღების ამბავი ახსოვთ, ვთხოვთ მოგვაწოდონ ყველა ცნობა რაც ამ სურათის ირგვლივ იციან — კერძოდ, სად არის იგი გადაღებული და ვინ არიან აქ გამოსახული დანარჩენი პიროვნებანი.



სახალხო ხელოვნების ქოხატი



რა „არტისტისაგან“ დადგა ნამდვილი ხელოვანი. გიგა ჯაფარიძე თხუთმეტი წლის იყო, როცა სპექტაკლი დადგა ონის თეატრის სცენაზე. ონის წლებში გიგა ჯაფარიძე თვითონვე სდგამს თავის პირველ პიესას „სიტყვა საფლავთან“. ეს სპექტაკლი მაყურებელს მოუთხოვრებდა ჩვენი მეზღვაურების თავგანწირულ ბრძოლაზე სამშობლოს დასაცავად. აქვე იგი გამოდიოდა, როგორც მსახიობი, დიდი ტემპერამენტით ასრულებდა ერთ-ერთი მებრძოლის როლს.

1946 წელს გიგა ჯაფარიძე ამბროლაურის თბილისის კინოს სამსახიობო სტუდიას და ისევ რაქს უბრუნდება. ონის თეატრი მის მეორე ოჯახად იქცა, ყოველ დილას იქით მიიჩქარის, იქ ელიან მას მეგობრები, დეკორაცია, რომელიც გუშინ ვერ დაამთავრა... და ჩქარობს, რომ ისევ ფუნჯს დასტაცოს ხელი, რეპერტივია უნდა მოასწრონ...

1948 წელს გიგა ჯაფარიძე ამბროლაურის სახალხო თეატრში მიიწვიეს. მან აქაც ღირსეული თეატრალური კოლექტივი შექმნა, თავის ირგვლივ შემოიკრიბა პედაგოგები, მოსწავლეები, მუშა-სამსახურეები; აქ, ამ კოლექტივში დაწინაურდნენ ნუნუ შაუთიძე და ცისანა თომაძე, რომლებიც წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ, მათ გულწრფელ მიმზიდველ თამაშს ბევრჯერ გაუხარებია მაყურებელი.

თითხმეტი წლის მანძილზე გიგა ჯაფარიძემ ამბროლაურში სამოცამდე პიესა დადგა, მათ შორის მოლიერის „ძალიდ ექიმი“, ვ. კატაევის „პოლკის შვილი“, ა. წერეთლის „პატარა კახი“, ვ. გუნიას „და-ძმა“, ს. შანშიაშვილის „კარწანისის გმირები“, ვ. დარასელის „იკვიძე“, ა. გეჭაძის „სისხლის ცრემლები“ და ვინ მოსთვლის კიდევ... პიესა პიესას სცვილიდა და მაყურებელი მუდამ შეუწინებელი ინტერესით და გულწრფელი აღტაცებით ეგებებოდა ამ სპექტაკლებს.

სულ მალე ამბროლაურის თეატრის კოლექტივი თბილისელი მაყურებლის წინაშე წარსდგა. დედაქალაქის მომთხროვნემა მაყურებელმა მაღალი შეფასება მისცა მის სპექტაკლებს. არაპროფესიულ სცენაზე ძნელი იყო ფიგურირდეს „მელა და ქურდის“ წარმოდგენა, გიგა ჯაფარიძემ ამ პიესასაც გაბედულად მოჰკიდა ხელი და ფრიალ ორიგინალური სანახაობა გვიჩვენა; ასეთივე წარმატება ხვდა მ. ჯაფარიძის „უამთაბერის ასულს“, ვ. რო-

ზოვის „ხალისიან მეგობრებს“, ა. გეჭაძის „სისხლის ცრემლებს“. საქართველოს კულტურის სამინისტრომ „იკვიძის“ მთავარი როლის შემსრულებლები პირველი ხარისხის დიპლომებითა და სიგელებით დააჯილდოვა.

ამბროლაურიდან გიგა ჯაფარიძე კვლავ ონს დაუბრუნდა; აქ მან დადგა ისეთი რთული პიესა, როგორც „თიდიბოს მეფე“.

ოცდახუთი წელია გიგა ჯაფარიძე დაუღალავად იღწვის ჩვენი სასცენო ხელოვნების ასპარეზზე. მაგრამ მართო ამით არ კმაყოფილდება. იგი მთელი ხალხური შემოქმედების ქომაგია; მესტიერეობის ტრადიცია, რომელიც შემონახული იყო რაქსაში, სოფ. ფარახეთში და რომელიც შემდეგ დავიწყებას მიეცა, გიგამ ხელახლა აღადგინა; მან საფუძვლიანად შეისწავლა ლუკა ტრონიძისა და ზაქარია ერადისაგან სტიქირზე დაკვრა და ერადის სტიქირი მოსკოვში, დეკადაზე ააქლერა; სტიქირზე დაკვრა მან თავის ძმას — შალვასაც ასწავლა.

ამ დაუცხრომელი მოღვაწეობისათვის გიგა ჯაფარიძეს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა, ონის სახალხო თეატრმა ზეიმით აღნიშნეს გიგა ჯაფარიძის დაბადების ორმოცი და მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავი. პოეტმა აკაკი გეჭაძემ ოთხილარს ასე მიმართა:

„ამ ოცდახუთ წელიწადში იხელა ყანა დათესე, ეს ერთი საღამო ჰიარახულის მოსაწევად როგორ გეყოფა, შენი საქმიანობის ხევასა და კალოს რა ბათმანი არწყავს, მაგრამ შენ ხომ ჭერჭერობით მკას არ ფიქრობ, მკის დრო ორმოცი წლის კაცისთვის შორს არის, ამჟამად მხოლოდ მთესველი ხარ, ხელხვედნი და კეთილი მთესველი“.

მადლიერი მაყურებლები კვლავ მოელოან მისგან ახალ პიესებს, ახალ დადგმებს, ახალ სიმღერებს.

წელი ჩაჩაჩა

ქეშარიტი ხელოვნება მუდამ თავდადებულ სამსახურსა და ნამდვილ გატაცებას მოითხოვს; უგულოდ, შემოქმედებითი სიხარულის გარეშე, მთელი ძალების შეუწირველად აქ ვერაფერს მიადწევ; და როგორც ყველგან, აქაც წარმატება მხოლოდ მაშინ მოდის, როცა საქმეს მთელ სულსა და გულს ჩააქსრვ.

სწორედ ეს არის გიგა ჯაფარიძის წარმატების მიზეზიც. სულ პატარაობიდანვე გაიტაცა ის სცენამ და მსახიობის სახელიც მას ბავშვობაში შეარქვეს, როცა ექვსი წლის ბიჭმა თავის ეზოში, ერთ ძველ, მიტოვებულ თონესთან წარმოდგენა უჩვენა მეზობლებს. თმაბუტუტა ბიჭუნა რეჟისორიც თვითონ იყო და კაყო ყაჩაღის მთავარ როლსაც თვითონ ასრულებდა. ერთი ეს იყო, ბატონის როლისათვის ვერაინ შეარჩიეს. „მე მაშინ სულ პაწია ვიყავი, — იგონებს გიგას და შეუქურა, — გიგამ ჩობა-ახალუხი ჩამაცვა, ბალიშით დადი ღიპი გამიკეთა, ხელში ჩიბუხი დამაქურჩა, და დამაზებირებინა მრისხანე სიტყვები ბატონისა: „მერე მე პროხა ვის მივბარო, სადა ვიშოვი კარგ მეძროხესა“. შემდეგ, საოჯახო სპექტაკლებში ბიჭების როლს სულ მე მთამაშებდნენ“. ონში, ვისაც გიგას ბავშვობა ახსოვს, არ უყვირს, რომ იმ პატა-

როგორ ახდომდა „ივერია“ ხოლმე

საყოველთაოდ ცნობილია „ივერიის“ როლი საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. მაგრამ ამ გაზეთის საქმიანობის უაღრესად ფართო მასშტაბებზე ჩვენ კიდევ სრული წარმოდგენა არა გვაქვს. გაზეთის კომპლექტების გულდასმით შესწავლა გვარწმუნებს, რომ „ივერია“ არა მარტო ხალხის იდეური დამრავლებელი იყო, არამედ მისი უზრუნველების ცენტრში იყო ხალხის ჯანმრთელობაც; სამეურნეო საკითხებიც, ცხოვრების ყველა სფერო. აი როგორ ფართო იყო ილია ქაჯავაძის გაზეთის სამომავლო სარბიელი!

„ივერია“ ფიზიკურად მდგარა ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე. როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის ბოლო წლებში საქართველოში ხოლმე მძვინვარებდა. ამ ეპიდემიასთან ბრძოლაში „ივერია“ მართლაც სასახელო როლი შეასრულა. ეს ამბავი ასე უდაბნო: 1890 წლის დასაწყისში ბერლინისა და პარიზის გაზეთებში გამოქვეყნდა წერილები, რომლებშიც კორესპონდენტები იტყობინებოდნენ — ირანში ხოლმე ეპიდემია დაიწყო. იმავე წლის 15 მარტის და 15 ივნისის ნომერებში „ივერია“ უზრუნველყო მიაქცია ევროპული გაზეთების წერილებს და მისი შიშიც გამოთქვა, რომ ხოლმე ირანიდან შეიძლება საქართველოშიც შემოჭრილიყო. ამიტომ „ივერია“ მოთხოვა დაუყოვნებლივ მიღებულიყო საჭირო ზომები სახალხო განსაცდელის თავიდან ასაცილებლად.

ამიერიდან ხოლმე ირანიდან ბრძოლა გაზეთისათვის ერთ-ერთი მთავარი თემა ხდება. გაზეთი აქვეყნებს ვრცელ „გამოსაღებარ ცნობებს“ — სახელგანთქმული ლუი პასტერის რჩევას, თუ როგორ ვებრძოლოთ ამ საშიშელ სენს (№ 184, 26 ივნისი, 1890 წელი); ამავე საკითხს უბრუნდება გაზეთი იმავე წლის პირველი ივლისის ნომერშიც. საერთოდ, გაზეთის ფურცლებზე უხვად იბეჭდება ცნობები ხოლმე ეპიდემიებზე სხვა ქვეყნებში, ამ დაავადების ეტიოლოგიის, კლინიკის და მეურნეობის შესახებ, ქვეყნდება მასალები ახალ მიცნიერულ მიღწევებზე ხოლმე მკურნელობაში და ა. შ.

როგორც გაზეთის ფურცლებიდან ჩანს, ხოლმე ეპიდემია საქართველოში დაწყებულია 1892-1893 წლებში. ამ სახალხო უბედურების წინააღმდეგ ბრძოლაში გაზეთი ნამდვილ მორგანზედ და მეთაურ როლს ასრულებს. უზრუნველბას იქცევის 1892 წლის 9 ივნისის „ივერიაში“ რუსული გაზეთებიდან გადმოხტული წერილი სპარსეთის ელჩის რიზახანისა, რომელიც ეხება რა ირანში ხოლმე გავრცელების ამბებს, აღნიშნავს, რომ მეშვიდედანი მიღებული ცნობების მიხედვით ხოლმე ეპიდემია სპარსეთში თანდათან ნელდება.

„ივერია“ თავის მხრივ შენიშნავს, რომ მიუხედავად ელჩის განცხადებისა, საქირა ფართო მუშაობის გაშლა ხოლმეის თავიდან ასაცილებლად. ქალაქის საბჭოს ამ საქმიანობის 48.900 მანეთი გადაუდვია. რედაქციას საქირად მიანიხა ყოველმა მოქალაქემ დაიცავს სათანადო წესები, ექიმებმა პატარა ფიზიკებზე უნდა დაბეჭდონ რჩევა-დარიგებანი ხოლმეისათვის საბრძოლველად.

„ივერია“ ამ დროიდან უკვე სისტემატურად ბეჭდვს წერილებს ხოლმეის შესახებ; ეს წერილები კრიტიკულია ქალაქის მმართველობის მიმართ, ხანაც სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისა და გადმოხტულია სხვადასხვა გაზეთებიდან; აქვეა ცნობები ამ სენის გავრცელებაზე საქართველოში, რუსეთში და მეზობელ ქვეყნებში.

ამ შეტად ვრცელი მასალებიდან აუცილებლად მიგვაჩინა ზოგიერთ მათგანზე ორიოდ სიტყვის თქმა.

1892 წლის 25 ივლისის (№ 154) ნომრის მოწინავე წერილი ხოლმეის ეპიდემიისადმი მიძღვნილია და ხელს აწერს ა. ფრონელი (ალექსანდრე ყიფშიძე). ამ წერილიდან ჩანს, რომ ხოლმეა მოდებია ქართლის სოფლებს. ავტორი მოჰყავს შემადარწუნებელი ფაქტები, რომ ხალხი ვარბის სოფლებიდან და მიცვალებულთა დასაფლავებისათვისაც კი არავის რჩება. ასე ყოფილა, მაგალითად, საგურამოსი.

ამავე საკითხს ეხება „ივერიის“ 26 ივლისის (№ 157) და 29 ივლისის (№ 159) მოწინავე წერილები ისევ ა. ფრონელის ხელმოწერით.

1892 წლის 15 აგვისტოს (№ 173) ნომერში დაბეჭდილია პავლე ყიფიანის ვრცელი წერილი „კიდევ ხოლმეის შესახებ“. ამ წერილის მიხედვით, ხოლმეისათვის ბრძოლისათვის სათავადაზნაურო მანქანა 2000 თუმანი გაუღია. წერილში მოთხოვნილია, თუ რა აქტიურად დაურაზმავს ინტელიგენციას თავისი ძალები ამ საშიშელ სენთან საბრძოლველად. სოფ. ქვიშხეთში შემდგარა სანიტარული კომისია, თბილისში ჩამოყალიბებულა სპეციალური დასი (კომისია), რომელშიაც შეუყვანიათ ინფი-

ნერი დეკანოზიშვილი, სტუდენტი ნ. მეღვიშვილი, ექიმი ელიაშვილი და სტუდენტი ჭიჭინაძე, რომლებიც ხოლმეისათვის ბრძოლის მიზნით სოფლებში გამგზავრებულან. ავტორი მოითხოვს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ამ დასს და რწმენას გამოთქვამს, რომ ისინი შესძლებენ შეებრძოლონ კარზე მომდგარ უბედურებას.

1892 წლის 28 და 29 აგვისტოს ნომერებში „ივერია“ ბეჭდვს იაკობ სვიმონიძის (მანგლისი) ვრცელ წერილს სათაურით „დღიური ვარამის შესახებ“. მასში ლაპარაკია ხოლმეის გამომწვევ მიკრობზე, მის გავრცელებაზე, კლინიკაზე და მის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

1892 წლის 4 სექტემბრის (№ 187) ნომერში დაბეჭდილია საინფორმაციო წერილი სათაურით: „ხოლმეის საწინააღმდეგო ვაცცინის (ჩირქის) აცრა“; აქ გადმოცემულია ვაღდემარ მარდოსე ჰაკინის მიერ პარიზის ბიოლოგიური საზოგადოების სხომაზე წაკითხული ორი მოხსენების შინაარსი. წერილი თარგმნილია ფრანგულიდან თედო სახოკიას მიერ. ჰაკინი რუსეთიდან წასული ებრაელი იყო. მას დამთავრებული ჰქონდა ოდესის უნივერსიტეტის სახუნებისმეტყველო ფაკულტეტი და იმ ხანად მუშაობდა პარიზში, პასტერის ინსტიტუტის ლაბორატორიაში. ჰაკინმა ხოლმეის საწინააღმდეგო აცრა ჯერ ცხოველებზე ჩატარა და შემდეგ თავისთავზე სცადა, რამაც დაედგინა შედეგი გამოიღო. ეს მეცნიერის ნამდვილი თავგანწირვა იყო.

ხოლმეის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩამშულა დიდი ვაჟა-ფშაველაც. „ივერიის“ 207-ე ნომერში მას გამოუქვეყნებია წერილი „ფიქრები“, რომელშიაც პოეტს წერს: „გვინებ, შაბა-ბაზის შემოსევამაც ისე არ ააყუანა საქართველო. როგორც ხოლმეის გაჩენამ... ჩვენს ცხოვრებაში სხვა ხოლმეცა ბუდობს, უფრო სასტიკი, უფრო მავნებელი. ნეტა ერთ დღეს მაინც ამ მეორე ხოლმეამ ისე ააყუანოს ხალხი, როგორც ეს ბაქცია-ბაქტერიების დედა აყუანებს ქვეყანას ამ სამი-ოთხი თვის განმავლობაში“.

„სხვა ხოლმე“, რომელზეც ვაჟა ლაპარაკობს, ცხადია, თვითმპყრობელობა იყო. ამრიგად, „ივერია“ ამ თემას განმთავისუფლებელი ბრძოლის თვალსაზრისითაც უდგებოდა.


ორიგინალური და საინტერესოა სტ. ჭრელაშვილის ხელმოწერით გამოქვეყნებული ფელეტონი სათაურით „ხოლმეისათვის თავდასავალი“ (იხ. „ივერია“, № 222, 21 ოქტომბერი, 1892). ფელეტონი ნარკვევების ხასიათისა, აქ მოთხრობილია ხოლმეის შესახებ საზოგადოდ და ავტორის პირადი თავდასავალი ხოლმეის ავადმყოფობის პერიოდში.

ხოლმეის ეპიდემია 1893 წელსაც გავრცელებულა. ამ წლის 11 აგვისტოს (№ 170) „ივერია“ გვატყობინებს, რომ 7 აგვისტოს გამართულა ერის გაჯანსაღებისათვის მზრუნველი კომიტეტის საგანგებო კრება, რომელსაც ხოლმეისათვის დაკავშირებით შემდეგი ღონისძიებები დაუსახავს: აკრძალული იქნეს გლეხების გაღებები ხალხმრთის დავლა, მტკვარში ბანაობა და მტკვრის წყლის ხმარება. ბაზარში უფარგის ხილის გაყიდვა; ამას გარდა, კომიტეტმა დამეშობი თხოვა კავკასიის მთავარმართებელს გენერალ-ადიუტანტ შერემიტივს — თბილისის ახლოს ნუ მოგროვდება ჯარები მომავალ სექტემბერს. მთავარმართებელს ეს თხოვნა არ შეუწყნარებია.

ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს, რომ ხოლმეის ეპიდემია ისევ დიდ საფრთხეს წარმოადგენდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდებოდა. მართლაც, 1893 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში „ივერიაში“ სისტემატურად იბეჭდებოდა ოფიციალური ცნობები ხოლმეის დაავადების შესახებ.

შემდეგ წლებიდან, 1904 წლის 14 ივლისის (№ 182) ნომერში მოთავსებულია პოპულარული ხასიათის წერილი სათაურით „ხოლმეის“. 22 სექტემბრის (№ 218) და 28 სექტემბრის (№ 219) ნომერებში გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობები ხოლმეის დაავადების შესახებ. იმავე წლის 9 ნოემბრის (№ 258) ნომერში აღნიშნულია თბილისში ხოლმეის დადასტურებული შემთხვევების არსებობა, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ეპიდემიური ხასიათი აღარა ჰქონია. ამავე წლის „ივერია“ აქვეყნებს ცნობებს ხოლმეის შემთხვევების არსებობაზე ბაქოსა და ერევანში.

1905 წლის 4 მარტის (№ 16) „ივერია“ გვატყობინებს, რომ პეტერბურგის სამკურნელო საზოგადოებამ მოიხმინა ექიმ კრასნუხის მოხსენება ხოლმეისათვის ბრძოლის შესახებ. იმავე წლის 14 მაისის (№ 25) „ივერია“ გვატყობინებს, რომ შესდგება თბილისის სამკურნელო საზოგადოების კრება იმის შესახებ, თუ რა დროიდან შეიძლება ხოლმეის წინააღმდეგ მოქმედება.



ლილა ნანიგაშვილი


შემოსაძრკვით სამოსი ხეებს და აღუბურათ ხელები მალა, დამსავსებთან ეს მთები დევებს, ნისლში დგანან და ვერ გრძნობენ დალლას.

ალარ უჩრდილებს ფოთლები მთვარეს, სულველგან ატანს იმისი შუქი, და უღარაჯებს ერთგულად ღამეს, აქა-იქ ჩრდილი გაჩნდება მუქი.

ყინვისგან დამზრალს იშუშებს სხეულს და იშვირება წყალში ჭადარი, არ მოსწონს, ხლავს თავის თავს ეულს, სწყინს, სილაშაზე გაქპრა, სად არა...

ნატრობს: ფიქვებმა შემოსონ მალე, ზამთარი უყვარს იმასაც თეთრი, ნატრობს, ფიქვებმა დაჭარბონ მალე, და ჩემი ფიქრიც, მის ფიქრებს ერთვის...

ერთერთს არ ვეძებთ და აღარც ვფიქრობ; ისევ ვიხილო შენი თვალები, და ჭადარივით მეც ფიქვებს ვნატრობ — და დაჭარბონ შენი ნატერფალები.



ომარ შამათია

გაზაფხულია! შემოჭრილა გულში აპრილი ყელზე მხვევენ გრძელ ნაწნავებს მწვანე ქვეყნები, — დამოკლებულა უსასრულო ცაში მანძილი, ხეზე ასული ოჯალემის მთვარის ღერწყმები.

გაზაფხულია! ფარფატებენ ჭრელი პელები. მშით ანთებული გვირგვინი ჩუმად იწვიან, მკერდადღელილი დილის ზეფირს შევეგებები, მაგრამ უშენოდ ფრთების გაშლა არ შემიძლია.

გაზაფხულია... ტყეში დაგრაჩა თეთრი მანდილი, თუ ყვავილებით მოქარგულა ბუჩქი ძახველის?! თუ არ მჭეროდა დადგებოდა თეთრი აპრილი, შენ რომ წახველი.

1905 წლის 24 მაისის (№ 88) „ივერია“ გვატყობინებს, რომ ექიმ ამირეჯიბს პიროგოვის სახელობის კრებაზე მოსკოვში წაუკითხავს მოხსენება ხოლმეის შესახებ. ცხადია, ამ წერილში შეუძლებელია მთლიანად აღვსუხვოთ ის უხვი მასალა, რომელიც „ივერიაში“ ამ სენთან ბრძოლას მიუძღვნა. დღეს, როცა ჩვენში ამ სენის სახსენებელიც აღარ არის, მაინც ინტერესოკლებული არ იქნება გავიხსენოთ როგორ აღუდგინა ხოლმეისათვის კარგად ჰქონდათ შეგნებულნი თავიანთი როლი ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვის სფეროში.

ახლა, როცა ამ მასალებს ეცნობით, კიდევ ერთხელ რწმუნდებით რა დიდ საქვეყნო საქმეს აკეთებდა „ივერია“ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პროფ. ალ. მინდაძე

საქარმა

ფოტო ო. თურქიასი და ე. პეესოვისა



ამ საწარმოს თბილისის საშენ მასალათა კომბინატი ეწოდება. მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ აქ მარტო აგურს ამზადებენ. ამ კომბინატში ხელოვნების ერთ დარგსაც შეუფარებია თავი და თავისი საოცარი ქმნილებებით აღტაცებაში მოჰყავს მნახველები.

ეს დარგი კერამიკაა. კომბინატში კერამიკას ორი სამჭრო ემსახურება: წითელი თიხისა და ფაიფურის. შარშან ამ სამჭროებში ოცი დასახელების ნაწარმს ამზადებდნენ, წილს კი ოცდაათზე მეტი დასახელების ნაწარმი დამზადდება, აქედან ოცდახუთი სრულიად ახალი იქნება.


კომბინატის ეს კერამიკული ნაკეთობები დიდი მოწონებით სარგებლობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე უცხოეთშიც. აქ დამზადებული ქართული სურები, დოქები, ჭინჭილები, ვაზები, კულები, სუვენირები იგზავნება ირანში, იაპონიაში, პოლონეთში, გერმანიის

დემოკრატიულ რესპუბლიკაში და მრავალ სხვა ქვეყანაში. მაგალითად, გასულ წელს მარტო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოცდაათზე მეტი დასახელების კერამიკული ნაწარმი გაიგზავნა.

კომბინატის მთავარი მხატვარი მურთაზ აბაშიძე და სხვა მხატვარ-კერამიკოსები გულის სიბოხსა და სიუვარულს აქსოვენ თავიანთ ნახელებს.

ისინი არა მარტო ოსტატურად ხატავენ თვითეულ კულასა და ჭინჭილას, არამედ მათი ახალი ნიმუშის შექმნის დროს თავისებურად იყენებენ მათ ძველ ფორმებს, რომლებსაც მუზეუმებში და არქეოლოგიური გათხრების დროს ნახულობენ.

ეს სიუვარული განსაკუთრებით გამოიხატება იმ სახელებში, რომლებსაც მხატვრები არქმევენ თავიანთ ნაკეთობებს: სურები „მატიანე“ და „სუფრული“, დოქი „მანანა“ და ა. შ.



სამჭროს მთავარი მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

უცხოელი სტუმრები ეცნობიან კომბინატის კერამიკულ ნიმუშებს.



ახალგაზრდა კერამიკოსები.





სავეტილო მოღვაწეობის რევოლუციამდელი სტა-
თიც ქონდა.

პუშკინის ქუჩაზე, სწორედ იმ სახლში, სადაც
ახლა საბჭოთა კავშირის პროკურატურაა მოთავ-
სებული, რევოლუციამდე „ლიტერატურულ-მხატვ-
რული წრის“ წევრები იკრიბებოდნენ. აქ შეხვედ-
ბოდით მწერლებს, ურნალისტებს, არტისტებსა და
იმდროინდელი ინტელიგენციის ბევრ სხვა წარმ-
მადგენლებს.

ერთხელ, შუაღამისას, ამ კლუბში მაგიდას გარს
შემოსხდომოდნენ და ბანქოს თამაშით ერთობოდ-
ნენ ცნობილი მილიონერი საბა მოროზოვი, ვლადი-
მერ ნემიროვიჩ-დანჩენკო და ფედორ პლევაკო,
რომელიც სულ აგებდა და აგებდა. ის ძალიან
ცდილობდა წანაგები დაბრუნებია, მაგრამ ბედი
აშკარად არ სწყალობდა. მოროზოვი კი დასცი-
ნოდა მას.

— მართლაც რომ უცნაურია, რას ჰგავს ამდენი
წაგება, — წამოიძახა ბოლოს პლევაკომ, საათს და-
ხედა და დაუმატა: —გმადლობთ, ძმებო, კარგად
გავერთე თქვენს საზოგადოებაში, მაგრამ უკვე
დროა წავიდე, პირველი საათი დაწყებულია...

— რას არ გამოიგონებ! — აბუზღუნდა მორო-
ზოვი. — რა დროის წასვლაა, მართალია, ბედმა
ზურგი შეგაქცია, მაგრამ ერთხელაც იქნება წყა-
ლობის თვალით გადმოგხედავს და წანაგებს და-
იბრუნებ... თამაშს ნუ ჩაგვიშლი, ფედორ...

— არა, ჩემო საბა, საქმე წაგებაში როდია, ხვალ
სასამართლო პალატაში ჩემი გამოსვლაა დანიშნუ-
ლი, უნდა გამოვიძინო...

— რომ შემდეგ ბატონი ნაფიცი მსაჯულები სამ-
საათიანი სიტყვით გააბრუო, ხომ? — ჩაიციხა მო-
როზოვმა. — საინტერესო საქმე მაინც თუ არის?

— ისე დიდი არაფერი, — ზანტად თქვა პლე-
ვაკომ, — ერთი მღვდელი უნდა დავიცვა, რომელიც
ეკლესიიდან უკვე გააძევეს. საეკლესიო ფული გა-
ფლანგა. უწმინდესმა სინოდმა მასზე ხელი აიღო
და საქმე საერო სასამართლოს გადასცა გასაჩი-
ვად.

ძვე. სიტყვას გაძღვეთ, მღვდელს გაამართლებენ.
მე შევძლებ ნაფიც მსაჯულთა დაჭერებს.

— და ამას წუთნახევარში გააკეთებთ?! — წა-
მოიძახა მოროზოვმა. — იცი რა, ფედორ, მგო-
ნი შენ მე მიცნობ...

— დავუშვებ, თუმცა აღამაინა რთული რამ არ-
ის. ჩვენ ხშირად გვგონია, უკეთესიცნობთ ადამიანის
ხასიათს, ვიდრე სინამდვილეში ვიცნობთ მას... პო,
რა გინდოდა გეთქვა, საბა?

— იცი, რა უნდა მეთქვა: მოდი, სანაძლეო და-
ვლოთ?

— მაინც რა სანაძლეო?

— მომისმინე, ჩემო ფედორ: თუ შენ მართლა
წუთნახევარში ჩაატეხ სიტყვას და შენს მღვდელს
გამართლებენ, მე, ცოცხელი, მთელი ღამით ვქო-
რაობ რესტორან „იარს“, სადაც ვიქიფებთ და
დროს გავატარებ ჩვენ სამნი და ჩვენს მიერ დაპა-
ტიუბული მიკრიბი, ფულს მე ვიხდი. მაგრამ თუ
შენი სიტყვა თუნდაც ერთი წამით გაგრძელდება,
ან იმ შენ ლოთ მღვდელს კანონის მთელი სისას-
ტიკით გაუსწორდებიან, ჩვენ მაინც ვიქიფებთ
„იარსში“, ოღონდ ამჯერად ქიფის საფასურს შენ
გადაიხდი თავის ქების, თავპირიანობისა და ბაქი-
ონის სამაგიეროდ. გასაგებია?

— გასაგებია და მისაღებიც, — მშვიდად უპა-
სუხა პლევაკომ. — ვაი, შენი ფულების ბრალი, ჩე-
მო საბა!

— შენ ნუ გედარდება, — აბუზღუნით უთხრა მო-
როზოვმა. — ოღონდ ეცადე, პირიქით არ მოხდეს,
იუსტიციაც... ხელი მომეცი!

მოროზოვმა და პლევაკომ ერთმანეთს ხელები მი-
სცეს, ნემიროვიჩ-დანჩენკომ კი, როგორც წესია,
მათ ხელებს თავისი ხელისგული შეახო და სანა-
ძლეო დაამტკიცა.

* * *

მეორე დილას საბა მოროზოვმა ნემიროვიჩ-და-
ნჩენკოს გაუხარა, რათა სასამართლოში ერთად წა-
სულიყვნენ.

კრემლისკენ რომ მიდიოდნენ, სადაც სასამარ-
თლო პალატა იყო მოთავსებული, მოროზოვმა ნე-
მიროვიჩ-დანჩენკოს მიმართა:

— აბა, ვლადიმერ ივანეს ძე, გეკითხებით, რო-
გორც დრამატურგს, ფსიქოლოგსა და რეჟისორს:
როგორ გგონიათ, ვინ დარჩება ამ საქმეში მოგე-
ბული?

— მოგებული, უპირველეს ყოვლისა, „იარის“
მეპატრონე დარჩება, — გაიღმა ნემიროვიჩ-დან-
ჩენკომ. — შემდეგ, მე, რადგანაც, როგორც არ
უნდა დამთავრდეს სანაძლეო, არაფერს არ ვკარ-
გავ, უქვეყნელი სიამოვნება კი მომეღის.

— ეს, რა თქმა უნდა, ასეა, — უბასუხა მორო-
ზოვმა. — მაგრამ შენ ხომ ამას არ გეკითხებით,
ვლადიმერ ივანეს ძე?

— ვიცი, ვიცი, რაც გაინტერესებთ. წინასწარ-
მეტყველებას ვერ ვიკისრებ, მაგრამ, რადგანაც
ფედორის კარგად ვიცნობ, ასე მგონია, მან ყველა-
ფერი აწონ-დაწონა, სანამ სანაძლეოზე დაგთან-
მდებოდათ...

— მასასადამე, თქვენის აზრით, მე მოვიქცე
წინდაუხედავად?

— ეს უფრო ადვილი წარმოსადგენია.

— პო, მაგრამ, რატომ გგონიათ ასე? — არ ცხრ-
ბოლა აზარტში შესული მოროზოვი.

როგორც ყოველთვის, კობტად ჩაცმულმა, სა-
ოცრად მშვიდმა და მაშინ ჭერ კიდევ ახალგაზრდა
ნემიროვიჩ-დანჩენკომ ცნობისმოყვარეობით შეხე-
და მოროზოვის წამოთებულ სახეს და თქვა:

— თქვენ მოტივები გაინტერესებთ, საბა ტიმო-
თეს ძე? ინიებთ... უპირველეს ყოვლისა, თითქმის
ყოველთვის აგებს ის, ვინც უფრო აზარტულია.

თქვენ, მართალია, ორივენი კარგი მამლაცინები
ხართ, მაგრამ ფედორი მაინც, თუნდაც თავისი პრო-
ფესიის წყალობით, მ... როგორ ვთქვა... უფრო
გამობრძმედილია... მეორეც, სანაძლეო ენება სა-
კითხს, რომელშიაც თქვენი მოწინააღმდეგე ძალზე

სანაძლეო

ლევ პუშკინი

— მაშ, წმინდა მამას სული ეშმაკებისთვის მი-
უყიდა? — წამოიძახა ნემიროვიჩ-დანჩენკომ, —
მოზრდილი თანხაა?

— არა, არც ისე ბევრი, ვლადიმერ ივანეს ძე,
დაახლოებით ათი ათასამდე თუ იქნება. მაგრამ სა-
ქმე იმდენად ფულში როდია. ეს მღვდელი დიდი
ვარყენილი და ლოთი იყო. სულ სამიციტნობებსა და
საროსკიპობებში ეგდო. რაც შეეხება ჩემს სიტყვას,
ჩემო საბა, ის იქნება ყველაზე მოკლე სიტყვა ჩემს
სიცოცხლეში — წუთნახევარზე მეტ ხანს არ ვილა-
პარაკებ...

— წუთნახევარს? — გაოცდა მოროზოვი — რას
ამბობ?.. გამოდის, მაგ საცოდავ მღვდელს ტუშ-
ილად აქვს შენი იმედი!

— მღვდელი არაფერს წაგებს, — გაიღმა პლე-
ვაკომ და მის ვიწრო, მოწიფულ თვალებში მხი-
არული ნაპერწკლები ათამაშდნენ. — საქმეს მოვი-
გებ.

— როგორ გავიგოთ შენი ნათქვამი? — დაეპყდა
მოროზოვი.

— ძალიან უბრალოდ, მღვდელს გაამართლებენ.
— როგორ თუ გაამართლებენ? მაშასადამე, მას
ეკლესიის ფული არ მოუპარავს.

— ნამდვილად მოიპარა, თვითონაც არ უარ-
ყოფს.

— და მხოლოდ წუთნახევარს ილაპარაკებ?
— მეტს არა.

მოროზოვი საბტად დარჩა. საუბარში ნემიროვიჩ-
დანჩენკო ჩაერია.

— მოითმინეთ... ფედორ, თქვენ ამას... სერიო-
ზულად ამბობთ?

— სავსებით სერიოზულად, ვლადიმერ ივანეს

სახელგანთქმულ რუს ადვოკატს ფედორ ნიკი-
ფორეს ძე პლევაკოს „მოსკოველ ოქროპირს“ უწო-
დებდნენ. ის სასამართლო პალატის ნაფიცი ვეტი-
ლი იყო და ორმოც წელზე მეტ ხანს ეწეოდა სა-
ადვოკატო მოღვაწეობას.
პლევაკო 1908 წელს გარდაიცვალა, მაგრამ ამ შე-
სანიშნავი იურისტისა და ორატორის სიკვდილის
შემდეგაც დიდ ხანს ცოცხლობდნენ მოგონებანი
მის ბრწყინვალე გამოსვლებზე; მისი მოსაზრებუ-
ლობისა და გონებამახვილობის ძალა ბევრჯერ სა-
კუთარ ტყავზე იწვინეს პროკურორებმა, რომელთა
წინააღმდეგ იგი გამოდიოდა.
იმ სანაძლეოს ისტორია, რომელსაც ახლა გაიამ-
ბობთ, გადმომცა აწ გარდაცვლილმა ნიკოლოზ კო-
მოდოვმა, დიდმა საბჭოთა ადვოკატმა, რომელსაც

დახლოვებულია. თქვენ კი ამ საქმეში, საცხებით, ასე ვთქვათ, ბალღით გამოცდილი ხართ...

— მოიცათ, მოიცათ! — გაწიწმად მოროზოვი. — ჰო, მაგრამ სადღა ლოგია და თვით უველაზე ელემენტარული სამართალი? მღვდელი ხომ ქურღია...

ნემიროვიჩი-დანჩენკო იხევ გაიღმა. — რაც შეეხება ლოგიას, — უპასუხა მან, — ის როგორც ცნობილია, არც ისე დიდ საპირობებს წარმოადგენს ბატონ ნაფცი მსაჯულთათვის... ეს მათთვის, ასე ვთქვათ, მხოლოდ საგანია, რომელიც აუცილებლად უნდა გაიარონ, ხოლო სამართალზე თუ ვილაპარაკებთ, კარგა ხანია შევნიშნე, რომ ის უფროსთვის როდია მართლმსაჯულების სინონიმი...

— იპატ, გარეცე! — გადსასხა მოროზოვმა მეეტლეს, ნემიროვიჩი-დანჩენკოს მხარზე ხელი გადახვია და ცხარედ ჩაიჩურჩულა: — ნეტა ჩქარა გავიგებდეთ შედეგს! ფული კი არ მენახება... სერის მინდა ვუყურო... მაგრამ თუ წაგება მიყრბო, რას ვიზამ! სამუხარო იქნება, მაგრამ ბედს ვერსად გავიქცევო.

მოსკოვის სასამართლო პალატის შენობაში საქმეების გარჩევა უკვე იწყებოდა. ლურჯ ვიცეშენდირებში გამოწყობილი სასამართლო სამსჯავროს წევრები და პროკურორები თავიანთი კაბინეტებისაკენ მიემართებოდნენ. დარბაზში უნდა-გუნდა დასვირბობდნენ ადვოკატები, რომლებსაც შავი ფრაკები ეცვათ, მეტრულე უნიფორმების და მათაგანების თეთრ-ლურჯი ნიშნები ეკეთათ და ძალზე წაგავდნენ პინჯვინებს. ახლანდელი ბოქალეები დაქროდნენ სამსჯავროს დარბაზებში იმის გასაგებად, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. საქმე, რომელშიც პლევაკო მონაწილეობდა, მეორე დარბაზში უნდა გარჩეულიყო. მას თავისი მსმენელები ყავდა. აქ იყვნენ ვაჭრების ლეკავიითელი ცოლები, რომლებიც კარგად იცნობდნენ, „მის უწმინდესობას“ და ზიარებაც ბევრჯერ მიეღოთ მისგან; აქ იყვნენ ნაფცი მსაჯულთა ახალგაზრდა, მო-უფუსავატო თანამეგობრები, რომლებიც სპეციალურად მოვიდნენ პლევაკოს მოსამსენად, როგორც მოღურბი ტენორის მასამენად და დიან ხოლმე ოპერაში; იყო ორი ანოხობიანი მღვდელიც; ისინი პირადად იცნობდნენ ბრალდებულს და უკმაყოფილოდ ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, რომ უწმინდესმა სინოდმა ამაოდ გადასცა ის საერო სასამართლოს, აჯობებდა რომელიმე მონსტრისათვის გადაცემა.

ცნობილი მილიონერი რომ დანიხა, სასამართლოს ბოქალე აფუსუსდა, მოროზოვი და ნემიროვიჩი-დანჩენკო საბატო სტუმართა ადგილებამდე მიაცილდა, რომელიც მოსამართლეთა საქმებს უკან მდებარეობდა. ბრალდებულთა უკვე ადგილზე იქდა. მისი ლოთობისაგან შეშუბებული სახე საცოდავ შთაბეჭდილებას ახდენდა.

— ჩვენი ოქროპირი სადღა? — იკითხა მოროზოვმა. — იქნებ დროე მოეგო გონს და გაიქცა.

თითქოს ამ კითხვის პასუხად დარბაზში პლევაკო შემოვიდა. სახელგანთქმულ ადვოკატს არავისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე დაჯდა ბრალდებულთა სკამის პირდაპირ, თავის კლიენტს თავი დაუქნია და პორტული გახსნა. მისი კვიციანური სახე, ოდნავ წინწამოწყული ყვრილობითა და ვიწროკრილიანი თვალებით, როგორც ყოველთვის, მშვიდი ჩანდა. თავი რომ ასწია, მოროზოვი და ნემიროვიჩი-დანჩენკო დანიხა და ღიმილით თავი დაუქნია მათ. მოროზოვმა მაშინვე ამოიღო ჭიბიდან ვეება საათი და მრავალმნიშვნელოვნად გაქან-გამოაქანა. პლევაკომ პასუხად ისევ დაუქნია თავი, რაც იმას ნიშნავდა, რომ სანაძლეოს ამბავი კარგად ახსოვდა.

— საქმე კარგად არის, — უკმაყოფილებით ჩასჩურჩულა მოროზოვმა ნემიროვიჩი-დანჩენკოს. — ყველაფერი ახსოვს მაგ ბოროტ სულსა და არც არაფერს უარყოფს.

— აშკარად ეტყობა, წინანდებურად დაწმუნებულია, საქმეს მოიგებს. დააკვირდით, რა მშვიდად არის!

— ვხედავ, — მოკლედ ისროლა მოროზოვმა, — მაგრამ იქნებ სჯობდეს მისი კლიენტის ფიროსონიას დააკვირდეთ. ეტყობა, არაფრით არ ასცდება პატიმრობა მაგ ლოთს.

— ბრალდებული უდავოდ არასიმპათიური პიროვნებაა... დაეთანხმა ნემიროვიჩი-დანჩენკო, — პლევაკოს წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა დგას, საბა ტიპით მცე, მაგრამ მან ხომ ადრეც იცოდა, რომ ვერა ზასულიჩი არ ჰყავდა დასაცავი და სანაძლეოზე მანაც დაეთანხმდა...

— აბრძანდით, სასამართლო მოიდა! — დაიდრიალა ბოქალემა. დარბაზის სილა კარებიდან სახელმწიფო სასამართლოს შემადგენლობა გამოვიდა.

— გთხოვთ დაბრძანდეთ! — წარმოთქვა თავმჯდომარემ ჩვეულების თანხმად, როგორც კი თავისი ადგილი დაიჭირა.

დაიწყო ჩვეულებრივი სასამართლო პროცედურა.

რ. თავმჯდომარემ გამოაცხადა სასამართლოს შემადგენლობა, პროკურორისა და დამცველის გვარები, მოკლედ დაიბოხა ბრალდებული, დააწესა მისი წილგანაღობა, ოჯახური მდგომარეობა და სხვა მონაცემები.

— ნაფცი მსაჯულები თითქმის ყველანი ვაჭრები არიან, — ჩასჩურჩულა მოროზოვმა ნემიროვიჩი-დანჩენკოს. — სწორედ მათი ფულითა მოპარული კარგს არაფერს დამართებენ „ბატონი ვაჭრები“! მაგ ლოთს, დაახლოვებულ ჩემს სატყუარს.

სასამართლოს მდივანმა საბრალდებო ოქმის კითხვა დაიწყო. მოროზოვი უსმენდა და კმაყოფილებით იქნევდა თავს, საბრალდებო ოქმი ბრალდებულს კარგს არაფერს უქადა.

— მომისმინეთ, ვლადიმერ ივანეს ძე, — თქვა მოროზოვმა, როცა მდივანმა საბრალდებო ოქმის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება დაიწყო. — მე, რა თქმა უნდა, უმეცარი ვარ ამ საკითხში, როგორც თქვენ იხებთ გეოქვთა ჩემთვის, მაგრამ მაინც რისი თქმა შეიძლება ბრალდებულის დასაცავად?

— მართლაც, საქმე ძალზე რთულადაა, მაგრამ იქნებ ფედორს გამოძიების იმედი აქვს. ალბათ საბრალდებო ოქმის შეცვლას შეეცდება.

მაგრამ არც სასამართლო ძიებას, რომელიც საბრალდებო ოქმის კითხვის დამოავრებისთანავე დაიწყო, არავითარი ცვლილება არ შეუტანია საქმეში; პროკურორი, საკმაოდ გამოცდილი და თავისი საქმის კარგად მსჯელობის ადამიანი, აქტაურად აწარმოებდა მოწმეების დაკითხვას, რაც ბრალდებულის სულ ახალ დანაშაულებს ავლენდა, რომელთა შეტანას საბრალდებულო სხდომის ოქმში პროკურორი გადაჭრით მოითხოვდა.

— დაცვას ხომ არა აქვს შეკითხვა მოწმისადმი? — მიმართავდა პროკურორი ადვოკატს ყოველი მოწმის დაკითხვის შემდეგ.

— არა, — მოკლედ ისროდა პლევაკო.

დარბაზში ახმარდნენ, ანთ უმოქმედობას არავინ ელოდა სახელგანთქმულ ადვოკატისაგან, რომელსაც სხვა სიკეთესთან ისიც ახასიათებდა, რომ თვით ბრალდების მოწმეებს ისეთ პასუხს გამოცხადებდა ხოლმე, რომელიც დაცვისათვის იყო ხელსაყრელი. ნაფცი ვეკილთა თანამეგობრები გაოცებას ვეღარ მალავდნენ და ერთმანეთს გადაუჩურჩულდნენ ხოლმე: „მოხუცი ის აღარ არის, რაც წინათ იყო“.

— აბა, ახლა რაღას იტყვით? — სიხარულს ვეღარ ფარავდა მოროზოვი. — როგორც ხედავთ, ჩვენი მოწინააღმდეგე აღარც კი ეცოდა, ბრალდებებს შეებრძოლოს.

— მართლაც რომ ძალზე უცნაურია, — თქვა ნემიროვიჩი-დანჩენკომ, — მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით რა მშვიდი გამომეტყველება აქვს, თითქოს კიდევ მოსწონდეს. ისეა, როგორც ვიფხვი გადაწვევით ნახტომის წინ.

ამასობაში სასამართლო ძიება დამთავრდა. თავმჯდომარემ შესთქვა შორის კამათის დაწყებამდე ათწუთიანი შესვენება გამოაცხადა. საზოგადოება ხმაურით მიაწყდა სასამართლოს ბუფეტს. მოროზოვი და ნემიროვიჩი-დანჩენკო პლევაკოსთან მივიდნენ.

— გამარჯობა ფედორ — თქვა მოროზოვმა. — არ შეიძლება ითქვას, რომ შენ სასამართლო ძიებაზე თავგანწირვით იბრძობდი... ვერ გავიტყვი, რას უნდა მივაწეროთ ეს?

— ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმას! — უპასუხა პლევაკომ, ჩაიციდა, და ხშირ უღევანებსა და ჭაღარა-მერთულ, წაწვეტილებულ წვერზე ხელი ჩამოისვა. — არაფერია, ჩემი დროც მოვა, ჩემო საბა!

— როდისღა მოვა ეს დრო? — დაცინვით ჩართაპარაკა მოროზოვმა — სასამართლო ძიებაც და მთავრდა. მას, ჩემო ძმაო, უკვე ვეღარ დააბრუნებ.

— ღმერთმა იცოდეს სასამართლო ძიების თავი, — თავისაზე იდგა პლევაკო. — საქმე საქმეს გააჩნია. ზოგი სასამართლო ძიების დროს იერიშზე გადასვლა საჭირო, ზოგჯერ კი სჯობს დრომდე ჩუმად იყო. რაც მე მეკუთვნის, ჩემგან არსად გაიქცევა, შენ ნუ ღელავ!

— ნაფცი კი, თუ შეამჩნიე, მხეცებივით უყურებენ ბრალდებულს. ერთი მოხუცი იფურთხებოდა კიდევ, ღმერთმანია... — განაგრძობდა მოროზოვი, — ეტყობა ძალზე გაბრაზებულია.

— არაფერია, ვინც სწრაფად ბრალდება, სწრაფადვე დატყობა ხოლმე. ჰო, მართლა, ჩვენი სანაძლეო ოქმი კარგად ავსოვს-დავწონე, ვიფიქრე, კარგი იქნებოდა, შეგვეცვალა პირობები.

— ე-ე, ვერ მოგართვის! — გაცხარდა მოროზოვი. — არავითარი ცვლილება... ჩვენ ხელი მივეცი ერთმანეთს და ისიც მოწმის თანდასწრებით.

— მოიცა, რას ღელავ, — ჩაიციხა პლევაკომ. — წუთნახევარი გვექონდა დათქმული, ხომ?

— რა თქმა უნდა!..

— ჰო და, მე მინდა წუთნახევარი ერთ წუთამდე შევამცირო.

— შეამცირო?! — მოროზოვი გაოცებისაგან კიწანდა დაიხარა.

— შეერთ წუთამდე? — ერთ წუთამდე, — მშვიდად დაუმოწმა პლევაკომ.

მოროზოვმა ამოიხვნეშა, თავი გაიქნია, შემდეგ ეცვა დაბნეულად მოიფხანა და მოულოდნელად გადაიხარხარა.

— ეშმაკია კი წაგიღოს! — სიცილით წარმოთქვა მან. — შენთან არსდროს არ მისწუწდებოდა სანაძლეო, სულს ჩემო!.. თანხმა ვარ, — შევამციროთ ერთ წუთამდე!.. ჩვენ კი ჭერ ბუფეტში წავიდეთ, ვლადიმერ ივანეს ძე!

შესვენების დამთავრებისთანავე თავმჯდომარემ პროკურორს დაუთმო სიტყვა. ბრალდებულის მოსკოვის სასამართლო პალატის პროკურორის ამბავი იყო, როგორც ბუფეტში ლაპარაკობდნენ, გამოცდილი იურისტი და კარგი ორატორი. მაღალი, ტანწვრილი პროკურორი, რომელსაც შესანიშნავად შეკერილი მუდრიანი ეცვა, მშვიდად წამოიღა. ორივე ხელებით ლამაზად დაეკრძალა ჩუქურთმის მუხის მაგიდის ნაპირს, ნაფიცების ორ მწკრივს დაჭერბული მგერა შეავლო და ჩვეულებრივი მცირე პაუზის შემდეგ ოდნავ ყრუ, მაგრამ კარგად დაუენებული ხმით დაიწყო: — ბატონო მოსამართლეთო, ბატონო ნაფიცო მსაჯულებო! დიდი მოწმეებისა და მდევარების გრძობით ვიწყებ ჩემი მოვალეობის შესრულებას.

— ტყუის... სულაც არ ღელავს, — ჩასჩურჩულა მოროზოვმა ნემიროვიჩი-დანჩენკოს. — მუხარება-ზედაც ტყუის... თვითონ ნემიროვიჩი-დანჩენკომ თავიდანვე შეამჩნია პროკურორის მოწმის არაბუნებრივობა, მისი ცალბედი მდევარება...

პლევაკო პროკურორის სიტყვას დიდი სიამოვნებით ისმენდა. მას მოროზოვსა და ნემიროვიჩი-დანჩენკოზე უკეთ ესმოდა, რომ ასეთი სიტყვა დაცვის საქმეს მხოლოდ აადვილებდა. პლევაკო დიდი ხანია იცნობდა ამ პროკურორს და იცოდა, რომ ის უფროსების დიდი მოწონებით სარგებლობდა, ისიც იცოდა, რომ როგორც პროკურორი, ისე მისი უფროსები, მიუხედავად მრავალწლიანი სასამართლო გამოცდილებისა, თანხმად უძღვრებო არიან ჩაწვინდნენ იმ უცნაური ფსიქოლოგიური კანონების საიდუმლოებას, რომელთა ცოდნის გარეშეც შეუძლებელია სისხლის სამართლის კანონების სწორად გამოყენება. ახლა პლევაკოს, რომელიც შეუვალი სახით იჭდა და გულში ზეიმობდა, ექვიც კი არ ებარებოდა, რომ სიტყვა, რომელიც მას პროკურორის მიწინააღმდეგ უნდა ეთქვა, ტყუილი გასროლასავით მოკლედ და მოულოდნელი სიტყვა, პირდაპირ მოხედებოდა იმ მიზანს, რომელსაც ასეთი მოლოდინებით, მაგრამ ამაოდ უმისწერდა მისი მოწინააღმდეგე.

როცა თავმჯდომარემ სიტყვა შესთავაზა პლევაკოს, მისი სასამართლოების, მსაჯულებისა და საზოგადოების მგერა სახელგანთქმულად ადვოკატმა მიიპყრო, ის წამოიღა. ერთი შეხედვით მოროზოვის, რომელსაც უკვე ამოღო თავისი საათი, მერე პირდაპირ თვალბეჭდით მიჩურჩულა მსაჯულებს და დაბალი, სულში ჩამწვდომი ხმით წარმოთქვა: — ბატონო ნაფიცო მსაჯულებო! ვინ იცის ოც წელზე მეტი ხნის მანძილზე რამდენჯერ მიუტყვევია ჩემს კლიენტს თქვენთვის ცოდვანი თქვენნი. რა იქნება ერთხელაც არის თქვენ მიუტყვევო მას. კეთილად აღმანიებო!

ეს თქვა, მსაჯულებს მდამლად თავი დაუქრა და ისევ თავის ადგილზე დაჯდა. წუთით დარბაზში ის მდღეფარე სიჩუმე იდგა, რომელიც ყოველგვარ მჭულურ ტანსა სჯობია. შემდეგ დაიწყეს ტანის ცემა, საზოგადოებრივად გაისმა ვიღაცის აღფრთოვანებული ბანი: „ვაშა, პლევაკო, ვაშა!“, მაგრამ თავმჯდომარემ დარბაზს მაშინვე წესრიგისაკენ მოუწოდა.

— გამართლებენ!.. — მდღეფარებითა და სიხარულით წამოიძახა მოროზოვმა. — აუცილებლად გამართლებენ, შემძლია სანაძლეო დავლო!.. მეც გავამართლებდი!..

— ერთი სანაძლეო თქვენ უკვე წააგებთ, — გაიღმა ნემიროვიჩი-დანჩენკომ. — რა თქმა უნდა, გამართლებენ! პლევაკოს კი ორმოცდაათამდე წამზე მეტ ხანს არ ულაპარაკანია, — დაუმატა მან და საათზე მიუთითა, რომელიც მოროზოვის ჭერ კიდევ ხელში ეჭირა.

მან სულს მოითქვა, მოროზოვის ხელი ჩამოსდო მხარზე და მდღეფარებისგან თვალბეჭდით წაიხვეწა: — ახ, რა უცნაური, რა უძლეველი ძალა ჰქვამართი ტალანტი მუდამ მახარებს მისი ხილვა, მუდამ აღტაცებულს მოგვყავარ მას.

ბრალდებულის საბოლოო სიტყვა და თავმჯდომარის დასვენა რომ მოისმინეს, მსაჯულები სათათბირო ოთახში გავიდნენ. დიდხანს არ გაგრძელებულია მათი თათბირი. ათი წუთის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ დარბაზში და თავმჯდომარემ გამამართლებელი განაჩენი გამოაცხადა.

საქ. სსრ. კ. პარქსის
სამ. სსრ. რესპუბ.
გენერალური რედაქცია

1962 წელს საქართველოს ტრადიციულ საერთაშორისო საქალაქო ტურნირზე განსაკუთრებით ორმა მონაწილემ ისახელა თავი: ნონა გაფრინდაშვილმა და ალა კუშნირმა. ნონას წარმატება არავის გაკვირვებია — მას ხომ რამდენიმე თვის შემდეგ მატჩი უნდა ეთამაშა მსოფლიოს პირველობაზე ელისაბედ ბიკოვასთან. კუშნირის შემდეგ კი სულ სხვადასხვანაირი კომენტატორები გამოუჩნდნენ: ზოგის აზრით, მას „ბედი წყალობდა“, ზოგიც ახალი „ვარსკვლავის“ აღმოჩენას ესალმებოდა. საერთაშორისო ტურნირში ნონამ პირველი ადგილი დაიკავა, ალამ კი — მეორე. შეჯიბრების საზეიმო დასურვარზე კუშნირის მწვრთნელმა ბორის პერსიციმა მათ უსურვა ერთმანეთს კიდევ ერთხელ 1965 წელს შეხვედროდნენ — დიდ მატჩში მსოფლიოს პირველობაზე. ეს ცოტა არ იყოს, ცაში გაფრინილი წეროს გაყვირდა: „შედეგად, „საქადრაკო ტახტზე“ ხომ ბიკოვა იჯდა. თუ ნონა მისგან „შორიახლოს იმყოფებოდა“, მეტიმეტად გაბედულად მოჩანდა იმის მტკიცება, რომ სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ ალა კუშნირი მრავალ დაბრკოლებას გადალახავდა და მსოფლიოს ჩემპიონს პირისპირ შეხვედებოდა.“

წინასწარმეტყველება ჰადრაკში ფრიალ სახიფათო რამ არის. როგორც წესი, საქადრაკო „მისნები“ ანგარიშში ტყუვდებიან. გაფრინდაშვილმა თუნდაც 1962 წელს გაზეთ „კომსომოლსკია პრავდას“ მიერ გამოცხადებული დიდი კონკურსი, რომლის შედეგებითაც ბოტკინიკის ძირითად მეთოქეებად ტალი და ფიშერი მიიჩნეეს. სინამდვილეში კი პრეტენდენტთა ტურნირში არც ტალი „ჩანდა“ და არც ფიშერი. ბრძოლა სულ სხვა პრეტენდენტებს შორის გაიმართა. მაგრამ ამჯერად ისე მოხდა, რომ ბორის პერსიცი „უველა ბუნქტში“ მართალი აღმოჩნდა. ჭერ ერთი, ნ. გაფრინდაშვილმა იოლად სძლია ე. ბიკოვას და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ა. კუშნირმა კი პირდაპირ ენით აუწერელი ფაქტორების შემდეგ მართლაც მოიპოვა მასთან თამაშის უფლება.

მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტის შერჩევა ჰადრაკში ქალთა შორის მეტად რთული და მრავალსაფეხურიანი სისტემით მიმდინარეობს. ჭერ კეთილი ინებე და ითამაშე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში, შემდეგ ფინალში და თუ ამ დაბრკოლებასაც გადალახავ, ბრძოლა პრეტენდენტთა ტურნირში გაგრძელდება.

რა თქმა უნდა, ისეთ ძლიერ და ნიჭიერ მოთამაშეს, როგორიც ა. კუშნირია, არ გაუჭირდებოდა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში წარმატების მიღწევა. მაგრამ შემდეგ დაიწყო „თავდასავლება“ და თანაც როგორი! საკავშირო პირველობის ფინალში ალა თითქმის ბოლო ტურებამდე ლიდერობდა და სამეულში გასვლაც თითქმის გარანტირებული ჰქონდა (სამი მოჭადრაკე კი პრეტენდენტთა ტურნირში თამაშის უფლებას იღებდა). ბოლო ტურებში კუშნირი იმდენად გადაიღალა, რომ თითქმის უველაფერი „წყალში გადაყარა“. ახლა მას დამატებითი მატჩი უნდა ეთამაშა ოსტატ ვ. კოვლოვსკაიასთან და მხოლოდ მრგების შემთხვევაში ღებულობდა „როსტუმის საგზურს“ და პრეტენდენტებთან თამაშის უფლებას. ეს ამოცანა ალამ იოლად გადაწყვიტა.

ის-ის იყო მსოფლიოს უძლიერესმა მოჭადრაკეებმა სოხუმში მოიყარეს თავი, რომ დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა სპეციალურ სტუმრის ნონას შესაძლებელი მეთოქის შესახებ. უდიდესი უმეტესობა ახახებდა ტ. ზატულოვსკაიასა და მ. ლაზარევიჩს. თვით ა. კუშნირიც, რომელიც შეჯიბრებაზე ძაღუთა ბავშვით ჩამოვიდა, უპირატესობას ანიჭებდა ბაქოელ მოჭადრაკეს. ბორის პერსიცი მაინც თავისას გაიძახოდა: „გაიმარჯვებს კუშნირიო“. მაგრამ მას არც ერთი „მოკავშირე“ არ აღმოაჩნდა.

პერსიციის „წედმეტი ოპტიმიზმი“ (ბიკოვას მწვრთნელ ე. კოვანის გამოთქმა) გარეგნულად მართლაც და თითქმის უოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული. ლაზარევიჩმა პირდაპირ „მუსრი გაავლო“ მეთოქეებს, ზატულოვსკაიასაც სძლია და კუშნირსაც. მაგრამ, მაშინ, როდესაც ფინალამდე ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი, იუგოსლავიის ჩემპიონმა მოულოდნელად წაიბოძოკა. ახლა ნონას მეთოქე ლაზარევიჩის, კუშნირისა და ზატულოვსკაიას მატჩ-ტურნირის უნდა გამოეყვინა. ეს ასპარეზობა მოსკოვში გაიმართა.

ს ა კ ა დ რ ა კ ი ა

ამ შეჯიბრების დაწყების წინ ვესაუბრე ა. კუშნირის მწვრთნელს. ბ. პერსიცი ლაზარევიჩის ასეთ მარცხს სოხუმში შემთხვევითად როდი თვლიდა. იუგოსლავიის ჩემპიონს საერთოდ არ ჰყოფნის ნებისყოფის სიმტკიცე გადამწყვეტი პარტიების კარგად ჩასატარებლად. ამით უნდა აიხნას ის სერიოზული შეცდომები, რასაც იგი სწორედ ბოლო ტურებში უშვებს. ამიტომ, პერსიციის აზრით, მოსკოვში გაიმარჯვებდა კუშნირი ან ზატულოვსკაია.


როდესაც მატჩ-ტურნირი დაიწყო, ბ. პერსიცი თითქმის საბოლოოდ მოტყუვდა ანგარიშში: ლაზარევიჩმა პირველ წრეში სძლია ორივე მეთოქეს. კიდევ ერთი უამი ორი პარტიდან და მილუნკა ლაზარევიჩი ნონას ოფიციალურ მეთოქედ ცხადდებოდა. მაგრამ როდესაც ეს ასე არ მოხდა და იუგოსლაველმა ფინიშზე ორი მარცხი განიცადა, უკვე აღარავის გაკვირვებია. ლაზარევიჩმა შეაჩვია გულშემატკვირები ასეთ სიურპრიზებს.

ამრიგად, სექტემბერში ერთმანეთს პირისპირ წარსდებიან ნ. გაფრინდაშვილი და ა. კუშნირი. რას უნდა მოელოდეთ ამ მატჩისაგან? როდესაც ასეთი კითხვით კუშნირს მივმართე, მან მომავალ ორთაბრძოლაში უდავო უპირატესობა მსოფლიოს ჩემპიონს მიანიჭა. „ნონა ერთადერთი ქალია, რომელიც ოსტატურად თამაშობს ჰადრაკს“; ეს სიტყვები გამოჩენილ გერმანელ მოჭადრაკეს ედიტ კელერ-გერმანს ეკუთვნის. ახლა მას პრეტენდენტიც იმეორებს. პერსიციმა ხელი აიღო წინასწარმეტყველებაზე, რადგან მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „ლაზარევიჩი სხვა და ნონა სხვა“. შეიძლება ვიფიქროთ, რომ პრეტენდენტი და მისი მწვრთნელი „თავმდაბლობენ“. ის კი ცხადია, რომ ისინი მთელი ძალით მოემზადებიან მატჩისათვის, რომელიც მეტად დაძაბული და საინტერესო უნდა გამოდგეს.

მომავალი მეთოქეები თამაშის მანერით მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ორივე ოსტატის სადებიუტო ერთეულიცაა მაღალია, მაგრამ თუ მსოფლიოს ჩემპიონს თავიდანვე შეტევარად გადასვლა უუვარს, პრეტენდენტი თავდაცვას ამჯობინებს. ნონას იტაცებს ბრძოლა რთულ პოზიციებში, კომბინაციური შეხლა-შემოხლა, კუშნირის კი უუვარს მშვიდი თამაში და პოზიციური მანერები. ახლა საქმე ის არის ვინ მოახვევს თავისთვის ხელსაყრელ თამაშს მეთოქეს. მოჭადრაკის ოსტატობის „სარკე“ ენდშაილია. ამ სარკეში ორივე მეთოქე მეტად მაკაოვდ მოჩანს.

ღებულების თანახმად უნდა გათამაშდეს თექვსმეტი პარტია. მსოფლიოს ჩემპიონს აქვს ერთი ტრადიციული უპირატესობა: იგი მატჩის ყუამით დამთავრების შემთხვევაშიც კი ინარჩუნებს თავის წოდებას. მაგრამ ვინც ნონა გაფრინდაშვილს იცნობს, წინასწარ იცის, რომ იგი არც კი შეეცდება ისარგებლოს ამ უპირატესობით. მას ხომ ბრძოლა სწყურია; და რადგან „ხელთათმანი ნასოლია“, ამ ბრძოლაში მთელი ძალით ებმება მისი ფრთხილი, მაგრამ ღირსეული და საშიში მეთოქეც.

გივი გახრეაძლი



ჟურნალ „დროის“ საკავშირო კონკურსი


ჟურნალ „დროის“ რედაქცია აცხადებს საკავშირო კონკურსს საქადრაკო ეტიულების შედგენაზე.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ხუთი ფულადი ჯილდო: I პრიზი — 60 მან., II — 50 მან., III — 40 მან., IV — 30 მან., V — 20 მან. ხუთი მომდევნო ეტიუდი აღინიშნება საპატიო, ხოლო შემდეგი ხუთი — საქები შეფასებებით.

დაწესებულია აგრეთვე ორი სპეციალური პრიზი საქართველოდან წარმოდგენილი საუკეთესო ეტიულებისათვის.

საკონკურსო მასალების გამოგზავნის უკანასკნელი ვადა — 1965 წლის 1-ლი ივნისი, კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება ჟურნალ „დროში“.

საკონკურსო მასალები უნდა გამოგზავნოს მისამართით: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, ჟურნალ „დროის“ რედაქცია.



სანაღობი

აი, რას წერს ამ შემთხვევაზე თვით დ. ლივინგსტონი: „ლომი ჩამოშლიდა პირდაპირ ყურბებში... აშკარად შოკი დამემართა, ისე ვიყავი გაშეშებული, როგორც კატის პირში მოხვედრილი თაგვი... გაშეშებამ გამოიწვია ორგანიზმის მთლიანი ანესთეზია, მიუხედავად იმისა, რომ სრულ გონებაზე ვიყავი, ვერ ვგრძნობდი ვერც ტკივილს, ვერც შიშს... ვაიხსენებ ავალმყოფი, რომელიც საოპერაციო მაგიდაზე დააწვინეს და ქლოროფორმი მისცეს. იგი ხელდას სკალპელის მოძრაობას, მაგრამ ვერავითარ ტკივილს ვერ გრძნობს. მეც სწორედ ამ დღეში ვიყავი, ეს არ იყო ტვინის შეგუბებული მუშაობის პროცესი, ეს იყო შოკი, რამაც შიშის გრძნობაც კი დამაკარგვინა“.

როცა იგრძნო, რომ აღამიანის სხეული სიცოცხლის არავითარ ნიშნებს არ ამჟღავნებდა, ლომმა მალე დაანება თავი ლივინგსტონს; ასე გადაურჩა იგი სიკვდილს.

ეს საოცარი შემთხვევა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ტანატოზი ძალიან ხშირად თავდაცვის ინსტიქტურია აქტია.

ხშირად ჰიპნოზურ მდგომარეობას შეიძლება წინ უსწრებდეს მხოლოდ ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რაიმე ფიზიკური შეხების გარეშე. ასე, მაგალითად ცნობილია ცხოველის გაშეშება შიშისაგან, გველისაგან „მონუსხვის“ დროს.

რგოლებიანი ანკარა დანახვისთანავე ეცემა ხოლმე მსხვერპლს, მაგრამ როცა, ვთქვათ ბაყაყი უძრავად ზის, ანკარა მას თავს არ ესხმის.


ყველა ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ „ცხოველია ჰიპნოზთან“ დაკავშირებული მოვლენები მეტად მრავალფეროვანია. ზოგჯერ ტანატოზი სიცოცხლეს უნარჩუნებს ცხოველს, საერთოდ კი მსგავსი მდგომარეობა წარმოიშობა სუსტის ძლიერთან შეხვედრის დროს, როგორც მსხვერპლის მხრიდან წინააღმდეგობის შედეგი.

კოსკანი... ზღვის წყალი



სენსორული მქარა

ფუტკარს „სახეი“



სახეი სახეი

დოქტორი მიუგო პაიკო (იზრახული) რამდენიმე წელია, რაც ზღვის წყალი ნათესების მორწყვის ექსპერიმენტებს ატარებს. ზღვის პირას, ჭვიან პლაჟზე, სადაც წინათ არაფერი არ ხარობდა, მეცნიერმა 180-მდე სხვადასხვა მცენარე დარგა. უდაბური ადგილი მალე აყვავებულ მარცა-ქცა.

პაიკომ ნაკეთის მორწყვა გრუნტის მარილიანი წყლით დაიწყო, შემდეგ ნათესები თანდათან შეაჩვია ზღვის წყლით მორწყვას. ასეთი მეთოდით მეცნიერმა შეძლო ხილის, ბოსტნეულისა და სხვა საკვები კულტურების მოყვანა. აღსანიშნავია, რომ ზღვის წყლით მორწყული მცენარეები უფრო გამძლენი გახდნენ და უკეთესად აიტანეს გვალვები.

ზღვის წყლის გამოყენებით ესპანეთში უკვე მოჰყავთ კარტოფლის მოსავალი, ინდოეთში—ხორბალი, იტალიაში — მწესუმწირა.

ფუტკარის შხამი ძვირფასი სამკურნელო საშუალებაა, მაგრამ მისი მიღება ძვირი ჯდება (შხამის წართმევის დროს ფუტკარი იღუპება).

ამერიკის შერიტებულ შტატებში ამას წინათ დამზადეს „ფუტკარის ელექტროსაწვითი“, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ შხამი ისე, რომ ფუტკარი არ დაიღუპოს. ალუმინის სპეციალურ ჭურჭელზე ფუტკარს თავდაყირა ამავრებენ, მწერს აზოტის ქვეყნებით აბრუებენ. სუსტი ელექტრული დარტყმის შემდეგ ნექტარის კულნები სწრაფად იკუმშება და ჭურჭელში ძვირფასი სითხე იღვრება.

ასეთი წესით შხამის მიღება ფუტკარს არაფერს ცნებს, შემდგომში ის კვლავ განავრცობს თავლისა და ფიჭვის დამზადებას.

ლობორატორიაში სიჩუმეა. მაგიდაზე დევს მაგნიტოფონი, მის გვერდით ნეოლანტის პატარა ყუთი დგას, რომელიც კვერცხია მოთავსებული. ყუთი დაკავშირებულია მაღალმგრძნობიარე მიკროფონთან, იგი ტრანზისტორულ გამამლიერებლებს უერთდება.

სიკოლოგიიდან წიწილის წივივი ისმის. კვერცხი ჭერ კიდევ მთელია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, წიწილის ხმის გაგონება მის გამოჩენამდე შეიძლება. მაგნიტოფონის დახმარებით დადგინდა, რომ კრუსხა და კვერცხში მყოფი წიწილას შორის ხმოვანი კავშირი არსებობს. ინკუბაციის მეცხრედღის ჩანასახი იწყებს დედის „კითხვებზე“ პასუხის გაცემას, ხოლო გამოჩენამდე რამდენიმე დღით ადრე წიწილები გამშული წივივიით მოუწოდებენ დედას ურთიერება და სიფხიზლე გამოიჩინოს. მზარუნველი ქათამი ამის შემდეგ ბუდეში აღარ ატრიალებს კვერცხებს, მოუსვენრობს და „ბედნიერი დღისათვის“ ემზადება. აღსანიშნავია, რომ წიწილები დედის შეხმინებაზე მშვიდდებიან და აღარ წივიან.

დარჩენილი ადამიანების სასუნთქავად.

თუ გამართლდა მთვარეზე წყალბადის არსებობის იმედი, ბაზალტიდან მიღებულ უანგბადთან მისი შერიტებით, იქ შესაძლებელი გახდება წყლის მიღება. ამით არა მარტო სასმელი წყლის პრობლემა გადაიჭრება, არამედ შესაძლებელი იქნება ვიფიქროთ მთვარეზე ბოსტნეულის მოსაყვანი ორანჟერიის შექმნაზე. მის საშეწინებლო მასალად უანგბადის ფაბრიკის მინერალური ნარჩენები შეიძლება გამოვიყენოთ.

კოსკანი... მთვარეზე

რა ღირს ერთი ლიტრა მარილი ან წყალი? დედამიწაზე პრაქტიკულად თითქმის არაფერი. მთვარეზე კი ისინი გაცილებით უფრო ძვირი იღირება, ვიდრე ერთი ლიტრი ძვირფასი ვარდის ზეთი. მთვარეზე ყოველი კილოგრამი ტვირთის მითანა ზღაპრულად დიდი ფასი დაუჭრდება ადამიანს!

ხომ არ შეიძლება თვით მთვარეზე მოვიპოვოთ საჭირო რაოდენობის მარილი და წყალი? რა თქმა უნდა, მთვარეზე არც ტბებია და არც მდინარეები, მაგრამ იქ წყლის მიღება მაინც შეიძლება. იგი ქვებში უნდა ვიძებნოთ!

მთვარის წყლის ფაბრიკის უმთავრესი ნაწილი უკვე მზად არის. მაგრამ იგი ჭერჭერობით მთვარეზე კი არ მუშაობს, არამედ დედამიწაზე—კალიფორნიაში, კარმანის სახელობის ინჟინერიო-საკვლევი ცენტრის ახლოს.

ამ არაჩვეულებრივი დანადგარის სანახავად მოსული კაცი შორიდანვე მოატყავს თვალს ციცილოვან ციხას — ეს სპეციალური ღუმელი მუშაობს, რომელშიც უზარმაზარი ძელები ათუთუბებულ ფაფად იქცევა.

ძელები ლითონისა არ გვეგონოთ, ისინი დედამიწაზე გავრცელებული ვულკანური ქანი ბაზალტია. ასტრონომები ვარაუდობენ, რომ ბაზალტი მთვარეზეც უნდა მოიპოვებოდეს.

ბაზალტი, რომელიც ერთხელ უკვე გადნა ვულკანის სტომიქში, თითქოსდა ახსოვდება „მზრალი“ ქვა, მაგრამ არა, უზარალ გახურებაც კი საკმარისია, რომ მის ზემოთ ორთქლის დრუბელი წარმოიშვას. ცდებით დადგინდა, რომ ერთი ტონა ბაზალტის გახურების დროს დაახლოებით 25 კილოგრამი წყალი ორთქლდება. აქედან კი ელექტროლიზის დახმარებით 25 კილოგრამი უანგბადის მიღება შეიძლება.

ათჯერ უფრო მეტი უანგბადი მიიღება ე. წ. შეკრული ფორმის ბაზალტიდან. უანგბადის მისაღებად საჭიროა ბაზალტის დნობა წყალბადისა და მეთანის შემცველ ატმოსფეროში.



ფეროში ვაწარმოოთ. გაზების ნარევი ღუმელიდან გადადის ქიმიურ რეაქტორში, სადაც კატალიზატორების ზემოქმედებით წყალად გადაიქცევა.

თითქოს მიზანი უკვე მიღწეულია — ქვიდან მიღებულია წყალი, რომელიც მთვარეზე ექსპედიციის დროს შეიძლება გამოვიყენოთ. მაგრამ ეს წყალი წყალბადის რეაქციაში ჩართვის შემდეგადაა წარმოშობილი, როგორც კი წყალბადი გათავდება, ბაზალტიდან უანგბადის მიღება შეწყდება. ამიტომ რეაქციის შედეგად მიღებული წყალი საჭიროა უანგბადად და წყალბადად დავშალოთ. წყალბადი კვლავ სადნობ ღუმელში დაბრუნდება „სამუშაოდ“, უანგბადი კი მთვარის ექსპედიციის საჭიროებას მოხმარდება.

მთვარეზე წყლისა და უანგბადის ფაბრიკიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით დადგმება სითბოს წყარო — ატომური რეაქტორი. ბირთვების დაყოფის ხარჯზე მიღებული სითბური გამოსხივება სადნობი ღუმელებისაკენ სარკების საშუალებით წარმართება. ფაბრიკა პირველ ხანებში უმთავრესად უანგბადს გამოიმუშავებს, რომელიც საჭიროა რეაქტორის მარაგის შესავსებად უკან დაბრუნებისათვის. უანგბადის ნაწილი კი გამოიყენება მთვარეზე

იუკოკი

ერთი პროვინციელი მეგობარს ესტუმრა პარიზში. მასმძინდელ ჯერ ძალიან გაეხარა, მაგრამ შემდეგ დრო გადიოდა და პროვინციელი შინ წასვლას არ აპირებდა. ბოლოს მეგობარმა უთხრა:

— როგორ გგონიათ, არ მოეწყინებოდათ თქვენს მიუღღეს და ბავშვებს უთქვენოდ?

— მართალი ხართ, — უპასუხა პროვინციელმა, — ხვალვე მივწერ, რომ ჩამოვიდნენ.

* * *

დედამ უთხრა თავის პატარა გოგონას:

— წადი ხორცის გამყიდველთან და ნახე აქვს თუ არა ღორის ფეხები. გოგონა დაბრუნდა. დედამ ჰკითხა:

— რა ჰქენი, ნახე?

— ვერა, ჩემები იცა.

* * *

ერთი ამერიკელი ტურისტის ტაქსით პარიზს ათვალერებდა; პანთონს რომ ჩაუარეს, შოფერს ჰკითხა: რამდენი დრო დაქირდა პანთონის აგებას?

— ექვსი წელი — უპასუხა შოფერმა.

— ჩემს ქვეყანაში სამ წელიწადში ააგებდნენ მაგას, — თქვა ტურისტმა. ტიულერის წინ მან იგივე შეკითხვა მისცა შოფერს.

— ხუთი წელი, — უპასუხა შოფერმა.



— როგორ? — გაიკვირვა ტურისტმა, — ჩვენთან ორი წელიც საკმარისი იქნებოდა.

სამაგიერო რომ მიეწლო, შოფერმა ტაქსი ეიფელის კოშკისაკენ წაიყვანა, მაგრამ მის წინ არ გაჩერებულა.

— მოიცაო! მოიცაო! — წამოიყვირა ტურისტმა — რა არის ეს უზარმაზარი ცადაწვილი კოშკი?

— არ ვიცი, — უპასუხა შოფერმა, — გუშინ რომ გამოვიარე, აქ არაფერი იყო.

ფრანგულიდან თარგმნა ლალი პაპასპირმა.



ესტრადის ნოტიო მუსტატი

რა ხანია სძინავთ ბავშვებს, სძინავთ ტუბილად, დრმა ძილით. ეს გოგონა კი სულაც არ აპირებს ძილს. მიკროფონთან დგას და მღერის, მღერის თავდავიწყებით.

სპორტის სასახლე გარინდულა — გოგონა მღერის ქართულ, რუსულ, იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ სიმღერებს.

სამი წლის წინათ ცისფერ ეკრანზე პირველად გამოჩნდა ხუთი წლის ირმა სოხაძე. ბავშვმა მშვენივრად შეასრულა მ. დავითაშვილის „მანანას სიმღერა“. ეს იყო მისი დებიუტი. აქედან დაიწყო გოგონას „შემოქმედებითი ბიოგრაფია“.

პატარა გოგონას ტკბილი და საოცრად მუსიკალური ხმა შეუმჩნეველი არ დარჩა თბილისის მუსიკალური საზოგადოებრიობას. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრმა იგი თავის სოლისტად ჩაირიცხა. დღეს ირმა, ამ ორკესტრთან ერთად, ასრულებს ასზე მეტ სიმღერას; თუმცა რობერტინოს ჯერ ვერ სჯობნის ირმა პოპულარობით, მაგრამ გოგონას უკვე იცნობენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთაც.

აი რას წერს ჩემი მუსიკათმცოდნე ირვი ჩერნი ჩემურ უურნალ „მლადი სვეტში“: „საზეიმო შეხვედრაზე გამოვიდა ბაბთიანი პატარა გოგონა. ირმას სიმღერა გაიხმა, როგორც მოულოდნელი ქექა-ქუხილი. გოგონა მღერის მთელი თავის არსებით, მაღალ ნოტებს იღებს საოცარი მგზნებარებით, რაც ბავშვისაგან ჯერ არ გვხვებია“.

ცნობილ სიმღერას „მისტერ პაგანინს“ დღემდე ერთი შემსრულებელი ჰყავდა. ეს გახლდათ სახელგანთქმული ამერიკელი მომღერალი ქალი—ელა ფიცკერაული. ესტრადის ბევრმა მომღერალმა სცადა ამ სიმღერის ათვისება; იგი მერტად რთული და ძნელად შესასწავლია. დღეს „მისტერ პაგანინს“ მერვე შემსრულებელიც ჰყავს — ირმა სოხაძე.

პატარა ირმა ამჟამად მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობს.

დური შენგელია

შურნალ „დროშის“ № 2-ში მოთავსებული კროსმორდის პასუხი

ვერტიკალურად:

1. პეტრიცი;
2. ბრუმელი;
3. მასლოვი;
4. ეილმარი;
5. კარპატი;
6. ლისტონი;
11. ბიკილა;
12. ფინალი;
16. რინგი;
17. კორტი;
18. მესხი;
23. ანტონი;
24. ალაზანი;
29. ეკაბი;
50. პოკეი;
32. ილეთი;
34. ევანსი;
36. მანინა;
40. ბერგერი;
41. დიუმასი;
42. სტოპერი;
43. ზალიერი;
44. დელანეი;
45. უკრაინა.

ჰორიზონტალურად:

7. მეკარე;
8. ბარქაია;
9. პარტია;
10. მური;
15. ეტლი;
14. სეობლიკოვა;
15. ბრონშტინი;
19. ბაია;
20. ლოუ;
21. პელი;
22. სივინავა;
24. ალიონინი;
25. იოგი;
26. რაქი;
27. სუარესი;
28. ოზოლინი;
29. ენდო;
31. კუცი;
33. ზატოპეი;
35. იამანძე;
37. პაპი;
38. ნეი;
39. ათლი;
46. ჩემპიონატი;
47. ბანიშეჟსკი;
48. ალვა;
49. თასი;
50. გრეესი;
51. ფრეზერი;
52. კეეანი.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.

ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი
ი. ტაბალა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

საპ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოღია. ტექნორედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III ხართ. ტელ.—რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 3-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/III-65 წ. გამოშვ. № 12, ქად. ზომა 70x108¹/₂. 1,5 ქად. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პერიოდით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტარაჟი 24.000. შეკვ. № 597, უე 02976

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საპ. კვ ც-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ИНДЕКС 76056

28.31/22

ეროვნული
ბიბლიოთეკა

